ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 5—48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 229 შაბათი, 6 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300.000 მ ნ. № 229

დ ღ ი უ რ ი

— შტრეზემანის მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ისევ შტრეზემანს.

— გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო აცხადებს, რომ შტრეზემანის ახალი, ბურჟუაზიული მთავრობა იქნება ძალადობის მთავრობაო.

ბულგარეთის მთავრობა საშინელ ზომებს ღებულობს მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ.

— მოკავშირეების ჯარმა სავსებით დასტოვა სტამბოლი.

შაბათს, 6 ოქტომბერს, სახელმწიფო ოპერის შენობაში
შ ე ს დ გ ე ბ ა
ლისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების

საბჭოს სხდომა

იკა-ქარხნების კომიტეტების, ადგილკომების, კავშირთა გამგეობების და არმიის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

დღის წესრიგი:
საერთაშორისო მდგომარეობაზე
ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება.
დასაწყისი დღის 4 საათზე.

საბჭოს პრეზიდიუმი.

ერმანიის პროლეტარიატისათვის

მოწოდება

ქართველოს ყველა მუშებს, გლეხებს და წითელ-არმიელებს!

ამხანაგებო! ამ ბოლოს დროს გერმანიაში მდგომარეობა საშინ- გამწვავდა. ეკონომიურმა კრიზისმა უმწვერვალეს საფეხურს მიაღ- გერმანიის მარკა კატასტროფიულად ეცემა. ათი და ასი ათასი ები უმუშევრობას განიცდიან. იმ მუშების ხელფასი კი, რომლე- ჯერ-ჯერობით უმუშევრობის ბრჭყალებში არ მოქცეულან, განუ- ვრელად მცირეა და ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხო- ლებებს. მაგრამ ეს ცოტაა. გერმანიის კონტრ-რევოლიუციონური რობა აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას მუშათა წინააღმდეგ და ამ ლაში გერმანიის სოციალ-გამცემლებიც ჰილფერდინგის მეთაუ- ით ბარიკადების იქითა მხარეზე არიან. ამ მთავრობამ გარეკა მუ- რევოლიუციონური ორგანიზაციები, საფაბრიკო-საქარხნო კომი- ების სახით, და დაუწყო სასტიკი დევნა კომუნისტებს, მაგრამ მანიის ბურჟუაზია ამითაც არ კმაყოფილდება და ემზადება თავისი ტატურის დასამყარებლათ. გერმანელი ფაშისტები თავს უყრიან ის ძალებს ბავარიაში. გერმანიის სხვა კუთხეებიდან ამ ბურჟუა- ული ბანდების შეიარაღებული ნაწილები მიემართებიან ბავარიისა- , სადაც ისინი რაზმავენ თავის ძალებს და ამზადებენ სამხედრო ტრიალებას გერმანიაში.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და წითელარმიელებო! თქვენ ვათ უნდა გქონდეთ შეგნებული ფაშისტების, გერმანიის ამ ღვირ- ილი მაუზერისტების მოქმედება და მიზნები. თუ გერმანიაში არჯვეს ფაშისტებმა და დაამყარეს თავისი სისხლიანი დიქტატურა, ქნება უდიდესი ლახვარი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ში ჩასობილი, ფაშისტების გამარჯვებას მოჰყვება საშინელი ტე- ი გერმანიაში. უფრო მკაცრი სახით განმეორდება პარიზის კო- ტრაგედია. შეიარაღებული ბანდები თავისუფლად დაიწყებენ ს და ნავარდობას გერმანიის ქალაქებსა და სოფლებში; ისინი ს გაავლებენ გერმანიის სახელოვან პროლეტარიატს, ამით ისინი ხნით დაასამარებენ მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას. ლეთში გამარჯვებული ფაშისტები შემდეგ დაგვესხმიან თავს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, რომ საბოლოოთ აღმოფხვ- თელ მსოფლიოში რევოლიუციონური მოძრაობა.

ამხანაგებო! აქედან აშკარაა, რომ გერმანიის მუშების და- ხება იქნება ჩვენი დამარცხება; იქ ფაშისტების გამარჯვება ვებს საერთაშორისო იმპერიალისტური ბანდების ჩვენზე თავდასხმას. ყოველი მუშა, გლეხი და წითელარმიელი, ყოვე- ატიოსანი მოქალაქე მოვალეა შეიგნოს ეს მდგომარეობა, ქა- ლი მშრომელი ხალხი ვერ დარჩება გულგრილად, როდესაც ელი ფაშისტები ემზადებიან გერმანიის რევოლიუციონურ მო- ის ჩასაღრჩობათ, ვერ დარჩება გულგრილათ, რადგან მასში იყო და არის გამჯდარი ინტერნაციონალური სოლიდარობის ბა. თუ სხვადასხვა ქვეყნების ფაშისტები მხარს უჭერენ და ეხ- ან გერმანიის კონტრ-რევოლიუციას, ყველა ქვეყნის მშრომელნი ენი არიან დაეხმარონ გერმანიის რევოლიუციას, გერმანიის მუ- რომლებიც ადრე თუ გვიან ააფრიალებენ აჯანყების წითელ ს.

ხანაგო მუშებო, გლეხებო, წითელარმიელებო და ყველა სანო მოქალაქენო! ტფილისში უკვე შემდგარი არის გერმანიის ეტარიატის დამხმარე კომიტეტი. მის მოვალეობას შეადგენ- ბოს მატერიალური დახმარება (ფულით და სხვა სახით) გერმან როლეტარიატის სასარგებლოთ. დააარსეთ ასეთი კომიტეტები გან, ყოველ ქალაქში და ყოველ სოფელში. შეჰკრიბეთ დახმა- არ უნდა იყოს ისეთი მშრომელი და პატიოსანი მოქა- რომელმაც არ გაიღოს თავისი წვლილი ამ დიადი საქმისათ-

დგა გადამწყვეტი მომენტი! ამ მომენტს ჯეროვანათ უნდა ოთ ყველა სოციალისტური ქვეყნები და ყველანი თავის სიმა- უნდა ვიდგეთ, ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველა ფაშისტურ ს, იმპერიალისტთა ამ შავრაზმელებს, რომ ჩვენ არა მარტო ვართ გერმანიის პროლეტარიატის მხარეზე, არამედ საქმი- ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართ- მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა ცენტრალური აღმა- ელი კომიტეტი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო, ფესიონალურ კავშირთა საბჭო, მოგიწოდებსთ თქვენ შეას- თქვენი ინტერნაციონალური მოვალეობა.

ლა დაეხმარეთ გერმანიის პროლეტარიატს! გაუმარჯოს სა- რისო მუშათა სოლიდარობას!
უმარჯოს გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციას!
უმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.
ართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა ცენტრა- ლ აღმასრულებელი კომიტეტი.
ართველოს სახალხო კომისართა საბჭო.
ართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

„ტან"-ი და გერმანიის „სარევანშო ომი"

რთი სახელმწიფო—იქნება ალისტური თუ მშრომელთა მოფენილი,—ვერც ერთი ურჟუაზიულია ის თუ ული ან გლეხური—ვერ ნზე გამდგარ დამშვიდე- ვალყურეთ იმ ამბებისა, ადგილი აქვთ დღეს გერ- ულაზე უფრო განვითარე- წველო ქვეყანა ევროპის, ლური ამაფეთქებელი მა- ბდარია დღეს სამოქალაქო უზათ და უუდიდესი სო- ი გადატრიალების მო- თუ ყველასათვის ნათელი ოშორისო მნიშვნელობა რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციისა, თუ ძველი ბურჟუაზიული სამყარო ხედავდა და ხედავს მასში მისი დასასრულის დასაწყისს, მით უფრო თვალსაჩინოა ასეთივე როლი და მნიშვნელობა გერმანიის რევოლიუციის. ის იწყება მსოფლიო ომის შემდეგი ხანის სოციალურ და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობათა უაღრესათ გართულების პირობებში, იწყება მაშინ, როდესაც გერმანიაში თავი მოუყრია მრავალ საწინააღმდეგო ინტერესებს და განსკვეულია საერთაშორისო ურთიერთობათა კვანძი.

ორი უმთავრესი ძალა იჭერის დღეს შესახვედრათ ამ კვანძში: საერთაშორისო რევოლუცია და რეაქცია და სრულიათ მართალია ამხ. აიზენბერგერი, ბავარიის კომპარტიის ცეკას თავმჯდომარე (რომლის წერილს ვათავსებთ დღეს ჩვენს გაზეთში), რომ გადამწყვეტი ბრძოლა ამ ორი ძალის შორის დატრიალდება სწორეთ გერმანიის მინდორ-ველებზე. ამ ბრძოლისთვის უკვე ემზადება დღეს საფრანგეთის ბურჟუაზია—ეს მთავარი მებაირაღტრე ევროპის შავი რეაქციის. საინტერესოა ამ მხრივ ის ტონი, რომელიც აიღო ამ რეაქციის ლეიბ-ორგანომ, გაზეთ „ტან"-მა.

მის ფურცლებზე **უკანასკნელ ხანებში** საკმაოთ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი იმის მტკიცებას, რომ გერმანია ემზადება სარევანშო ომისათვის, რომ მას სურს სამაგიერო გადაუხადოს საფრანგეთს. ჩვენ ვამბობთ „უკანასკნელ ხანებშითქო", რადგან ასეთ ომზე, მისთვის მზადებაზე გერმანიის მხრივ დიდი ხანია ამგვარი ხმაურობა არ აუტეხია საფრანგეთის პრესას. ეს ბუნებრივიც არის: ვერსალის შემდეგი ხანის გერმანიას (განსაკუთრებით რურის დაკავების შემდეგ) რა სარევანშო ომის დაწყება შეუძლია. საფრანგეთის ეგრედ წოდებული საზოგადოებაც შეეჩვია იმ აზრს, რომ გერმანია, ძველი ძლიერი გერმანია აღარ არსებობს, რომ ის, ხელფეხშეკრული და დასუსტებული განართხულია გამარჯვებულის წინაშე. ეს ასეც არის. სადღაა მისი სამხედრო ძლიერება, რომ სარევანშო ომი დაიწყოს დღეს მან. მაგრამ გაზეთი **ხედავს** რაც ხდება დღეს გერმანიაში, კარგათ ამჩნევს, რომ იქ იწყება დიდი რევოლიუცია, რომელიც კისერს მოუგრეხს შინაურ და გარეშე იმპერიალისტებს. ცხადია ამ შემთხვევაში, რომ ძლევამოსილი რევოლიუცია დაასამარებს როგორც ვერსალის ხელშეკრულებას, ისე ყაჩაღურ რეჟიმს, რომლის შესანიშნავი მიღწევაა საზოგადოთ „ვერსალი". ბუნებრივია ამიტომ, რომ „საზოგადოებრივ აზრს" ახლავე „უხიკინებენ", ახლავე აჩვევენ იმ შეხედულებას, რომ საფრანგეთს ახლომომავალში კვლავ დასჭირდება „ხელი ხმალს იკრას", რადგან გერმანია ამზადებს „სარევანშო ომს", აწყობს ძლიერ არმიას.

„საფრანგეთი შეეჩვია იმ აზრს,—სწერს გაზეთი—რომ გერმანია განიარაღებულია. საჭიროა ამიტომ ავუხსნათ ჩვენ ხალხს ჭეშმარიტება, მივაქციოთ მისი ყურადღება საქმის ნამდვილ ვითარებაზე. ჩვენმა მთავრობამ უნდა აცნობოს უაღრესათ ოფიციალურათ ჩვენ ხალხს და ანტანტას, რომ გერმანიის თანამედროვე არმია წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიანობისათვის. საზოგადოებრივი აზრი როგორც საფრანგეთში, ისე უცხოეთში იქნება ამ გზით გაფრთხილებული და ისიც დაეხმარება მთავრობას".

ცხადია საფრანგეთი ემზადება არა სარევანშო შეტევის მოსაგერიებლათ, არამედ რაზმავს საზოგადოებრივ აზრს გერმანიის მომავალი რევოლიუციის ჩასაქრობათ, იღებს საჭირო თადარიგს ამ შემთხვევისთვის. „სარევანშო ომის" საფრთხით, ეჭვს გარეშეა, პუანკარე უკეთესათ აამოძრავებს „ხალხს", ვინემ რევოლიუციის ჩაქრობის მომიზეზებით. თუ ასეთ ხერხს უნდა მიმართოს მთავრობამ და მისმა პრესამ—ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანიის რევოლიუციას საკმაო სიმპატიით უყურებს საფრანგეთის ხალხი ყოველ შემთხვევაში მისი მშრომელი ნაწილი.

ერთი ყოველ შემთხვევაში ცხადია. ასეთი თუ ისეთი მოტივით საფრანგეთის ბურჟუაზია ემზადება გერმანიის ამბების შესახვედრათ. მოვალეობა საერთაშორისო პროლეტარიატის და საბჭოთა რესპუბლიკების არის ენერგიული მზადება გერმანიის რევოლიუციის დასახმარებლათ და გასამარჯვებლათ, რადგან იქ სწყდება საკითხი არა მარტო გერმანიის პროლეტარიატის, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასის და საბჭოთა რესპუბლიკების მომავალის შესახებ.

ინტელიგენცია და რევოლუცია

რუსეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილის პროლეტარულ რევოლიუციისადმი მტრული დამოკიდებულების მთავარი საფუძველი იყო უნდობლობა პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი. „ყველაფერს დაანგრევენ, ყველაფერს მოსპობენ, დაიღუპება კულტურა, დაიღუპება მეცნიერება,"—ასე მსჯელობდა ინტელიგენცია. ასეთი რწმენა მასში ჩანერგა ბურჟუაზიამ, რომელიც ისეთნაირად ხატავდა საქმეს, თითქოს მეცნიერება და ტეხნიკა ესაჭიროება მხოლოდ მას, თითქოს პროლეტარიატისათვის მიუწდომელია მეცნიერებისა და კულტურის ინტერესები და მისი გაგება.

რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებას უნდა დაემტკიცებია ინტელიგენციისათვის ამ შეხედულების სრული უსაფუძვლობა. რევოლიუციას უნდა დაერწმუნებია ინტელიგენციის საუკეთესო ელემენტები, რომ პროლეტარიატის მიმართ **ცრუმორწმუნეობით** ხელმძღვანელობდა და არა მუშათა კლასის როლის და ამოცანების გაგებით.

ინტელიგენცია ამ ჟამად ხედავს, რომ თუ მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენელმა რაიმე იცის, თუ ის რაიმე საქმისათვის გამოსადეგია, ის პროლეტარიატის სასურველი მეგობარი არის. მაგრამ რევოლიუციის გამოცდილება ლაპარაკობს აგრეთვე იმის შესახებ, რომ **პროლეტარიატი თავის ხელში იღებს სახელმწიფოს ხელმძღვანელობას და არავის არ მისცემს უფლებას მოახვიონ მას თავისი ნებასურვილი, თავისი შეხედულებები, თავისი მიზნები და ამოცანები.**

რევოლიუციის გამარჯვება და განმტკიცება ნიშნავს „დიდი მუშაობის ეპოქის" დასაწყისს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგებში. ინტელიგენციის მუშაობისათვის იხსნება არაჩვეულებრივათ ფართე ასპარეზი. მთელი ახალგაზრდული, მთელი ცოცხალი და ენერგიული, რაც კი მოიპოება ინტილიგენციაში, ხედავს, რომ პროლეტარული ხელისუფლება უხსნის მათ არაჩვეულებრივათ ფართე ჰორიზონტებს. მხოლოდ კაპიტალიზმის შხამით საბოლოოთ მოშხამულები განაგრძობენ ძველებურათ უდიდესი სკეპტიციზმით და მტრულათ მოპყრობას ახალი ხელისუფლებისადმი, ახალი სახელმწიფოსადმი. მაგრამ ეს მოშხამული სკეპტიკები, რევოლიუციის ეს შეურიგებელი მტრები თანდათანობით ჩამოდიან სცენიდან და მათ ადგილს იჭერს ახალი ინტელიგენცია, რომელიც წარმოშვა რევოლიუციამ და მასთან მტკიცეთ არის დაკავშირებული.

„რუსეთის ინტელიგენციასო,—ამბობდა განსვენებული მარტოვი ერთ ერთ თავის წერილში 1921 წ.,—**რუსეთის ინტელიგენციას მთლიანად, არა აქვს არავითარი, არც ეკონომიური, არც პოლიტიკური მიდრეკილება, რომელიც აიძულებდა მას დაეჭირა მტრული და მოკიდებულება სამრეწველო პროლეტარიატის იდეალებისა და მისწრაფებებისადმი.** ეს სავსებით მართალია. თუ ინტელიგენცია განთავისუფლდება ცრუმორწმუნეობისაგან, თუ ის შესძლებს ბურჟუაზიასთან იდეური კავშირის გაწყვეტას, თუ ის ნათელი თვალით შეხედავს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, მაშინ არჩევანი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არ უნდა იყოს ძნელი მისთვის.

მართლაც, რა ხდება თანამედროვე ევროპაში? მთელ რიგ ქვეყნებში და, პირველ ყოვლისა, გერმანიასა და ავსტრიაში **კაპიტალმა ინტელიგენცია ზღაპრულ სიღატაკემდი მიიყვანა, პურის საკითხი თანამედროვე ინტელიგენციისათვის ძირითადი საკითხია.** საშუალო ევროპაში მეცნიერების, ინტელიგენციის და მოხელეების მდგომარეობა ბევრ შემთხვევაში ბევრათ უფრო უარესია, ვიდრე სამრეწველო მუშების. უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვდა აუარებელი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ იმ არაჩვეულებრივ გაჭირვებას, რომელშიც იმყოფება ინტელიგენცია.

რას ამტკიცებს ეს ფაქტი? იმას, რომ **კაპიტალიზმი დაცემის ხანაში სწყვეტს იმ ინტელიგენციის გამოკვებას, რომელიც მას ყოველნაირად ემსახურებოდა.** კაპიტალიზმის ძალა მდგომარეობდა იმაში, რომ ის თავის საკუთარ ბაზას განუწყვეტლივ აფართოებდა, სიკვდილის განაჩენი თანამედროვე კაპიტალიზმს გამოუტანა იმ ფაქტმა, რომ მისი ბაზა თანდათანობით ვიწროვდება. ასეთ პირობებში ინტელიგენციაზე ზრუნვას არა თუ არ აქვს არავითარი აზრი, არამედ არ არის ამის საშუალებაც. პატრონი-კაპიტალი ქუჩაში აგდებს თავის მუშას-ინტელიგენციას. **არა აქვს რა ხვალინდელი დღე, არა აქვს რა ისტორიული მომავალი, კაპიტალი სტოვებს მეცნიერებას, როგორც სახართობს, რომელიც უკვე აღარ არის საჭირო.** შეიძლება კიდევ უქუდოთ, თავდახრილი დგომა „პატრონის" კარებთან, შეიძლება ყოველთვის, როცა ის გამოდის სასეირნოდ, გააყოლო მას ცრემლით სავსე თვალები, შეიძლება, ძველი ცრუმორწმუნეობის და შეცდომების დაცვით, თავის კუზით შეაკავო კაპიტალიზმი, რომელიც უფსკრულში მიექანება, მაგრამ კოშმარულ ბოლოს ვერ აიცდენს, თუ ინტელიგენცია ვერ გაბედავს თავისი ბედის კაპიტალიზმის ბედისაგან ჩამოშორებას.

საბედნიეროთ, ინტელიგენცია არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპისაც იწყებს ანგარიშის გაწევას შექმნილი მდგომარეობისათვის, **მისი საუკეთესო ელემენტები იწყებენ იმის გაგებას, რომ პირი უნდა იბრუნონ მომავლის კლასისაკენ. მეცნიერება-კაპიტალის კავშირის მაგიერ, ისტორია დღის წესრიგში აყენებს კავშირს—მეცნიერება-შრომა.** არა მარტო მეცნიერების ხანგრძლივი ისტორიული ინტერესები, არა მარტო მთელი საზოგადოების ინტერესები, არამედ დღევანდელი დღის ინტერესებიც, პურის საკითხი გადაჭრით უკარნახებენ ევროპის ინტელიგენციას რაც შეიძლება დაჩქარებით მოახდინონ არჩევანი შრომასა და კაპიტალს შორის, შრომის სასარგებლოდ.

მსოფლიო კაპიტალიზმის ნგრევის წინაშე, რომელიც თანდათანობით ძლიერდება, ევროპის ინტელიგენციის ორიენტაციის შეცვლის წინაშე, ეჭვს გარეშეა, რუსეთის ინტელიგენციის საგრძნობათ დიდი ნაწილი გულწრფელათ და პატიოსნათ ითანამშრომლებს პროლეტარულ ხელისუფლებასთან, ვინაიდან რა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები უნდა იყონ ამ თანამშრომლობაზე უარის სათქმელათ? პროლეტარიატმა დაამტკიცა ქვეყნის ხელმძღვანელობის, მისი წინ წაწევის, მისი უფრო მეტ დონეზე აყვანის უნარი.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პროლეტარიატმა გაიყოს ძალაუფლება ინტელიგენციასთან, როგორც ამას მოითხოვდა მარტოვი, როგორც ამას მოითხოვს მენშევიკური პარტია? არავითარ შემთხვევაში! ინტელიგენცია პირს იბრუნებს პროლეტარიატისაკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისტორიულად **ეს ინტელიგენცია როგორც ფენა, ჯერ კიდევ დიდათ არის გაჟღენთილი ბურჟუაზიული სულით, ბურჟუაზიული იდეოლოგიით.** სოციალისტური რევოლიუციის აქტიური, შეგნებული, დამოუკიდებელი მამოძრავებელი ძალა ის ვერ იქნება. სანამ ინტელიგენცია გრძნობს თავს ცალკე ფენათ, რომელიც თუ არ უპირისპირდება, ყოველ შემთხვევაში პროლეტარიატის **გვერდით სდგას, მანამდი „ძალაუფლების" ყოველგვარი „გაყოფა" პროლეტარიატსა და ინტელიგენციას შორის ნიშნავს სოციალისტური ხელისუფლების ბურჟუაზიული გარდაქმნის დასაწყისს.** და როცა ფიზიკური და გონებრივი შრომა შეერთდებიან, მაშინ საკითხი ძალაუფლების გაყოფის შესახებ მით უფრო თავისთავად იხსნება.

მარტოვი ამოცანის გადაჭრას ხედავდა „გლეხების მნიშვნელოვანი შეკავშირებული ჯგუფების, მუშათა კლასის და ინტელიგენციის **პოლიტიკური კოალიციის შექმნაში**". ამოცანის ასე გადაჭრა ნიშნავს პროლეტარული ხელისუფლების ბოლოს დასაწყისს, გზის გახსნას კაპიტალისტური ბატონობის დასამყარებლად. **პოლიტიკური კოალიცია ბურჟუაზიასთან—ეს ნიშნავს სიმძიმის ცენტრის გადატანას კერძო საკუთრებაზე, ეს არის სწორეთ კაპიტალისტური სისტემის, კაპიტალისტური პრინციპების გამარჯვება.** მაგრამ კაპიტალისტური პრინციპების გამარჯვება ნიშნავს, რომ **ინტელიგენციაში დაიწყება რეციდივი**, რომ ის კვლავ დაიწყებს პირის შებრუნებას ბურჟუაზიისაკენ, კვლავ გაწყდება კავშირი შრომისა და მეცნიერებას შორის, დაიწყება ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის ძველი კავშირის აღსადგენათ. **ეს პერსპექტივა მთლიანად ანტი პროლეტარულია, ანტი-რევოლიუციონურია და პროლეტარული ძალაუფლება მთელი თავისი ძალღონით იბრძოლებს ამის წინააღმდეგ.**

ის, რის წინადადებასაც იძლეოდა მარტოვი, სავსებით ეთანხმება სოციალ-დემოკრატიული პროგრამის ხაზს;—წვრილ ბურჟუაზიასთან კოალიციის გამოცხადების შემდეგ, თანდათანობითი მისვლა ბურჟუაზიის ჰეგემონიის დამყარებამდე და იმისთვის დამორჩილება გლეხობის და ინტელიგენციის, სახელმწიფოში ბატონობის მისთვის გადაცემა.

კომუნისტური პარტიის გზა სრულიად წინააღმდეგია. **არავითარი პოლიტიკური კოალიცია წვრილ ბურჟუაზიასთან და წვრილ ბურჟუაზიულ ფენებთან, არავითარი დათმობა კაპიტალისტურ პრინციპებს, არავითარი ლეგალიზაცია, არავითარი „ცნობა" მეურნეობის კაპიტალისტური სისტემისა,—მხოლოდ ამ გზით შეიძლება მთელი მშრომელი ხალხის და წვრილ ბურჟუაზიის გამოგლეჯა ბურჟუაზიის გავლენისაგან, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ინტელიგენციის ჩამოშორება ფულის ტომარისაგან და შრომისა და მეცნიერების სამუდამოთ განმტკიცება.**

ოქტომბრის პირველ კვირეებში და თვეებში რუსეთის პროლეტარიატი მძიმე ბრძოლას აწარმოებდა ინტელიგენციასთან. ამ ბრძოლაში პროლეტარიატი არავითარ შემთხვევაში არ იყო დამნაშავე, ის მხოლოდ **თავს იცავდა** ინტელიგენციის **საბოტაჟისაგან** ზურგში მახვილის ჩაცემისაგან, რომელსაც ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ ინტელიგენცია უმზადებდა ახალ წყობილებას.

პროლეტარიატს არ სურდა ეს ბრძოლა, ის მომავალშიც არასოდეს არ ისურვებს ასეთ ბრძოლას, თუ, რასაკვირველია, ინტელიგენცია არ წამოაყენებს პოლიტიკურ საკითხს ძალაუფლებას, „დემოკრატიის" ყველა ფენების „უფლებათა თანასწორობის" შესახებ და სხვა. უნდა აღიარონ, რომ **საკითხი ძალაუფლების შესახებ გადაჭრილია**, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და არავის ამ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სიმძიმეს ის არ გაუზიარებს.

სოციალ-დემოკრატია პროვოკაციულად ცდილობს დააწყებიოს ინტელიგენციას ახალი ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკასთან. მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მთელი პატიოსანი, შემოქმედებითი უნარის მქონე, რაც კი ინტელიგენციაში მოიპოვება, უკუაგდებს აზრს პოლიტიკური ბრძოლის შესახებ და მუშათა კლასთან, ახალი ცხოვრებისათვის ამდგარ მშრომელ ხალხთან ერთად ხელს მოჰკიდებს დიდ მუშაობას ახალი ქვეყნის დასამკვიდრებლად.

ილ. მგელაძე (ვარდინ).

გერმანიის ამბები

— **„დიდი კოალიციის" კრახი:** შტრეზემანი გადადგა. მისი გადადგომის შემდეგ გადადგა მთელი მთავრობაც. ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ისევ შტრეზემანს.

— სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ფოვერტსი" ამბობს, რომ შტრეზემანის ახალი, წმინდა ბურჟუაზიული მთავრობა იქნება ძალდატანების მთავრობაო.

— **შავი ძალები:** ბავარიის პრემიერი გადადგა; მის ადგილს დაიჭერს ფაშისტების ლიდერი, დიქტატორი კარი. შავი ძალები განაგრძობენ კომუნისტური პრესის დევნას; უკანასკნელ ხანებში დახურეს მთელი რიგი კომუნისტური გაზეთებისა.

რას ფიქრობს ანტანტა: საფრანგეთის პრესა ფიქრობს, რომ გერმანიაში მოსალოდნელია დიდი ამბებიო. ინგლისის პოზიცია შტრეზემანის მთავრობის გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

„დიდი კოალიციის" კრახი

შტრეზემანის კაბინეტის გადადგომა მიღებულია

ბერლინი. 5 ოქტომბერი. პრეზიდენტმა ებერტმა მიიღო შტრეზემანის კაბინეტის გადადგომა და მასვე მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა. შტრეზემანი შეეცდება საქმიანი კაბინეტის შედგენას, რომელიც არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ პარტიებისაგან.

„ფორვერტსის" ტირილი

ბერლინი. 5 ოქტომბერი. სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფორვერტსი" ბრალს სდებს მემარჯვენეებს იმაში, რომ მათ გავლენა მოახდინეს სახალხო პარტიაზე და უკანასკნელმა მხარი დაუჭირა მძიმე მრეწველობას, რამაც გამოიწვია კოალიციის დაშლა.

მღელვარება უსურსათობის ნიადაგზე

ბერლინი. 5 ოქტომბერი. ქალაქ ჰინდენბურგში (ზემო სილეზია) ადგილი ქონდა უწესოებას უსურსათობის ნიადაგზე. პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია 3 კაცი.

მარკის კურსი.

ბერლინი. 4 ოქტომბერი. დოლარის ოფიციალური კურსი უდრის 440 მილ. მარკას. შავ ბირჟაზე 500 მილ. მარკას.

მარკით პურის ნამცეცსაც ვერ იყიდი.

ბერლინი. 4 ოქტომბერი. გირვანქა პური ღირს 30 მილ. მარკა.

თვითვე აღიარებენ

პარიზი. 5 ოქტომბერი. **კაბინეტის კრიზისის გამო „ფორვერტ"-სი აცხადებს, რომ ახალი ბურჟუაზიული კაბინეტის პირველი საქმე იქნება ძალადობის რეჟიმის დამყარება.**

კაბინეტის გადადგომის დაწვრილებითი ცნობები.

პარიზი. 5 ოქტ. ჰავასის სააგენტო [illegible] შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გერმანიის კაბინეტის გადადგომის შესახებ. შტრეზემანის კაბინეტმა მოითხოვა კოალიციონურ პარტიებიდან ფართე უფლებების მიცემა მისთვის პოლიტიკურ ფინანსიურ, და აგრეთვე შინაური წესრიგის საკითხებში, ვინაიდან სხვა გვარათ—ენერგიული ზომების გარეშე—შეუძლებელია მარკის კურსის სტაბილიზაცია. ამას გარდა კაბინეტი მოითხოვდა საგადასახადო განაკვეთების გადიდებას შეძლებული კლასების მიმართ და სამუშაო დღის გაგრძელებას მაღაროებში. სოციალ-დემოკრატებმა ვერ შესძლეს ამის გარეშე შეთანხმების მიღწევა სხვა პარტიებთან და გამოვიდნენ კაბინეტის შემადგენლობიდან. თავისთავად ცხადია, რომ ამის შემდეგ კაბინეტი იძულებული შეიქნა გადამდგარიყო.

ბავარიის მაგალითის მიხედვით.

პარიზი. 5 ოქტ. შტრეზემანს, რომელსაც დაევალა ახალი კაბინეტის შედგენა, აწერენ სამინისტროების რიცხვის შემცირების განზრახვას, თითქოს ეკონომიის მიზნით. ამ კომბინაციაში გამოსჭვივის მისწრაფება მემარჯვენე დირექტორიის შექმნისაკენ. ბავარია უკვე დაადგა ამ გზას. კარის გადაწყვეტილება სახელმწიფო ღალატისათვის სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ ამტკიცებს რეაქციის გაბატონებას მიუნხენში.

სოციალ-დემოკრატების გადაწყვეტილება.

ბერლინი. 5 ოქტ. დილის პრესა იტყობინება, რომ სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ ახალი კაბინეტის შედგენაში.

შტრეზემანი გადადგა.

ნაუენი. 4 ოქტომბერი. კაბინეტის სხდომის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ღამის 8 საათზე, შტრეზემანი გადადგა.

ებერტმა ეს საკითხი გახსნილი დასტოვა.

სენტ-ამიენი. 4 ოქტომბერი. **ჰავასის სააგენტოს ცნობით, გერმანიის კაბინეტი გადადგა.**



ბ ა ვ ა რ ი ი ს რ უ კ ა

ეს არის რუკა ბავარიის, სადაც მოხდა ფაშისტური გადატრიალება.

ჩვენ ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას ბავარიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ხაზს (სულ ზემოთ მარჯვნით), სადაც მდებარეობს სამრეწველო ქალაქი გ ო ფ ი და სადაც ბავარიას შეუძლია მჭიდროთ დაუკავშირდეს ჩეხო-სლოვაკიას შეთანხმებულიგ გამოსვლების და გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის ჩაქრობის მიზნით.

ამ ქალაქის აღმოსავლეთით (მარჯვნით) მდებარეობს საქსონია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რევოლიუციონური პუნქტი, რომლის წინააღმდეგ შავი რეაქცია უსათუოდ დაიძრება. მარცხნით არის ტ ი უ რ ი ნ გ ი ა, მეორე მნიშვნელოვანი პროლეტარული პუნქტი, სადაც სოციალ-დემოკრატიული მასები ებრძვიან საკუთარ შემთანხმებელ ბელადებს.

შ ვ ე ი ნ ფ უ რ ტ ი არის მნიშვნელოვანი სამრეწველო პუნქტი, რომელიც მდებარეობს პრუსიის მახლობლად და ამიტომ სტრატეგიულათ დიდ ინტერესს შეადგენს ბავარიის ფაშისტებისათვის.

ვ ი უ რ ც ბ უ რ გ ი სამრეწველო ქალაქია შვეინფურტის მახლობლად, პროლეტარული რევოლიუციის დროს მას თავს დაესხა შავი რეაქცია.

მ ი უ ნ ხ ე ნ ი, რომელიც მდებარეობს ბავარიის სამხრეთით, არის მისი დედა-ქალაქი. იქ სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა 1919 წელს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ცხადია, გერმანიის მომავალ რევოლიუციაში მიუნხენი კვლავ დიდ როლს ითამაშებს. ჩვენ კიდევ უნდა ავღნიშნოთ, რომ ბავარიიდან სამხრეთით მდებარეობს ავსტრია, კათოლიკური ქვეყანა, რომელმაც, შესაძლებელია, რევოლიუციის დროს ხელი შეუწყოს კაპიტალისტურ ბავარიას გერმანიის ამხედრებული პროლეტარიატის დასამარცხებლად.

ერთი სიტყვით, ბავარიის გეოგრაფიული მდებარეობა მრავალმხრივ ხელსაყრელია სტრატეგიულათ, საიდანაც შავი რეაქცია შესძლებს უფრო წარმატებით აწარმოვოს შეტევა გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც გაჩაღდება პროლეტარული რევოლიუცია.

რა მოხდა ბავარიაში

ამ რამოდენიმე დღის წინეთ გერმანიის კორნილოვი—ლიუდენდორფი იმუქრებოდა „გერმანიის კრიზისის გადაჭრას ბავარიის ტყვიისმფრქვევლებით". ეს იყო აშკარა ომის გამოცხადება კონტრ-რევოლიუციის მიერ შტრეზემან-ჰილფერდინგის მთავრობის წინააღმდეგ. რურის დაკავების დღიდან აშკარა იყო, რომ რურის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა იქნებოდა ახალი ხანის დასაწყისი გერმანიის მომავალ ბედ-იღბალში. გერმანიის ბურჟუაზიის კაპიტულიაციამ ეს ბედი, გადასჭრა. ნაბიჯი გადადგმულია.

მოსალოდნელია, რომ ბავარიის შეთქმულება გავრცელდეს მთელს გერმანიაში.

როგორც სჩანს, ბავარიის კონტრ-რევოლიუცია სცდილობს დროს გამოყენებას. ის ერთის მხრივ თითქოს იწონებს პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას, ხოლო მეორეს მხრივ მოითხოვს გერმანიის მთავრობისაგან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას საფრანგეთსა და ბელგიასთან. რასაკვირველია, ის ასე სერიოზულათ არ სცდილობს გერმანიის დაცვას საფრანგეთის მტაცებლურ იმპერიალიზმისაგან, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის მოთხოვნით მას სურს ისეთი სახე მიიღოს, რომ ის გამოდის შურისმაძიებლათ გერმანიის ნაციონალური ღირსების შეურაცყოფისათვის.

მისი მთავარი მიზანია ნაციონალისტურათ განწყობილ ხალხთა მასების უიმედობის გამოყენება. მის მიერ დიქტატურის გამოცხადების მომენტი ძლიერ ხელსაყრელათ იქნა შერჩეული. ბავარიის რეაქცია იმედოვნებს, რომ მთავრობის ჯარების არც ერთი ჯარისკაცი არ წავა მის წინააღმდეგ, რომ საშუალო წრეების და თვით მუშების ფართო მასები დაინახავენ მასში გერმანიის ერის მფარველს, რომ ნაციონალური მღელვარება გზას გაუხსნის მას დანარჩენ გერმანიისაკენ. **ამიტომ ბავარიის რეაქციის თავდასხმა წარმოადგენს სამოქალაქო ომის დასაწყისს გერმანიაში.**

ბავარია ამჟამათ აშკარა სამსახურს უწევს საფრანგეთს. მისი დახმარებით საფრანგეთის იმპერიალიზმი სცდილობს დაამარცხოს გერმანიის მუშები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ გერმანიის მოღალატე ბურჟუაზიას, რომელმაც ხელში ჩაუგდო ფრანგებს რური. მაგრამ, გერმანიის მუშების რიცხვობრივმა უმეტესობამ უნდა დაამარცხოს ბავარიის კონტრ-რევოლიუცია. ამრიგათ, საფრანგეთის იმპერიალიზმის წინაშე კვლავ წარმოიშვა რურის ოლქის დაკარგვის საფრთხე. რომ თავიდან აიცდინოს ბავარიის კონტრ-რევოლიუციის ეს დამარცხება, ის თავის დროზე მიაწოდებს მას აშკარა სამხედრო დახმარებას.

ეს არის ბავარიის გადატრიალების ხელმძღვანელთა ნამდვილი მიზანი. ბავარიის ბურჟუაზია წინ უსწრებს მუხანათობაში გერმანიის დანარჩენ ბურჟუაზიას. ამიტომ ფაშისტური დიქტატურის გამოცხადება ბავარიაში გააჩაღებს ხანძარს არა მარტო ბავარიაში, არამედ მთელს ევროპაში.

ბავარიის და საფრანგეთის რეაქციის ტალღებს გაუმკლავდებიან გერმანიის მუშები მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მას დახმარებას გაუწევს საერთაშორისო პროლეტარიატი. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო რევოლიუციასა და მსოფლიო რეაქციას შორის გაიმართება გადამწყვეტი ბრძოლა გერმანიის მინდორ-ველებზე.

სწორეთ ეხლა დადგა დრო გერმანიის კომპარტიის საბოლოო გამოსვლისათვის. კომპარტიას ხელები ეხსნება.

ი. აიზენბერგერი.

(ბავარიის კომპარტიის ცეკას თავმჯდომარე).

833.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ძალები

ოჯანმა მიზანს ვერ მიაღწია.

რლინი. 4 ოქტომბერი. ოფიცია-ათ იტყობინებიან, რომ კიუსტ-ა აჯანყების მომწყობი—მაიო- ბუხრუკერი, 12 მეთაური და აჯანყებული დატუსაღებული ნ და მიცემული იქნებიან სამ-რო საველე სასამართლოში. გა-ლის მიზანი იყო—ნიშანი მიე-ფაშისტებისათვის მთელ რეს-ლიკაში გამოსვლისათვის. დატუ-ებულია 200 აჯანყებული, აჯან-ა ჩაქრობილია.

ულეტარულ თავდაცვის ხელ-მძღვანელის დატუსაღება.

ერლინი. 4 ოქტომბერი. მიუნ-ში დატუსაღებულია თავდაცვის კიალ-დემოკრატიულ ორგანიზა-ის ხელმძღვანელი შიუსხონი, რო-ლსაც ბრალდება ფაშისტურ კავ-რის წინააღმდეგ გამოსვლის მოწ-ობა.

ერთი და იგივე.

ბერლინი. 4 ოქტომბერი. შემჩნეუ-ია ბავარიის მემარჯვენეთა ორგა-ზაციების წევრთა მასიური გადას-ა ჰიტლერის მებრძოლ კავშირში.

კომუნისტური გაზეთის დახურვა საქსონიაში.

ბერლინი. 5 ოქტ. საქსონიაში ჯარების სარდალმა დახურა ყველა კომუნისტური გაზეთები, რომლებიც საქსონიაში გამოდიოდენ, „პრეზიდენტ ებერტის შეურაცხმყოფელ წერილების მოთავსებისათვის,“ კაბინეტიდან სოციალ-დემოკრატების გასვლის გამო.

ბავარიის პრემიერის გადადგომა.

ნაუენი. 4 ოქტომბერი. მიუნხენიდან იუწყებიან, რომ ბავარიის პრემიერი კნილინგი გადადგა. საერთო აზრით, მის ადგილს კარი დაიჭერს.

საიდუმლო მოლაპარაკება.

ნაუენი. 4 ოქტომბერი. დადის ხმები, რომ ვიურტემბერგისა და ბავარიის მთავრობებს შორის სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება საერთო სეპარატიულ გამოსვლების შესახებ.

კომუნისტური გაზეთის მორიგი დახურვა.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. ბერლინის სამხედრო ოლქის უფროსმა აკრძალა კომპარტიის ორგანო, რომელიც გამოდიოდა დახურულ „როტე-ფანე“-ს მაგიერ.

გერმანიის მთავრობის განკარგულებისა პასიურ წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ, საოკუპაციო ხელისუფლებამ რურში არა თუ შეამცირა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა ტერორი და დატუსაღებანი; ამის გამო მცხოვრებლების სიძულვილი ფრანგებისადმი თანდათან იზრდება. სამსახურში ხელახლა მიღების პირობები, რომელიც წაუყენეს ფრანგებმა რურის რკინისგზელებს, აშკარათ ამტკიცებენ იმას, რომ ოკუპანტები სრულებითაც არ არიან დაინტერესებული რკინის გზის მოძრაობის აღდგენით.

შრომის ხელფასის შემცირება.

ბერლინი. 5 ოქტ. ფრანგებმა ოკუპაციაქმნილ ოლქების მაღაროს მუშების ხელფასი შეამცირეს 5 მილ. მარკამდის.

რას ფიქრობს ანტანტა

მოკავშირეები არ ჩქარობენ.

ნაუენი. 4 ოქტომბერი. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ძალიან უკვირთ, რომ საფრანგეთი და ბელგია აქამდე არ გამოეხმაურენ პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას. ბერლინში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს უნდა ეცნობებინათ გერმანიის მთავრობისათვის რურის ოლქში მათი უახლოეს განზრახვების შესახებ.

გასაკვირველი არაფერია.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში შტრეზემანის კაბინეტის გადადგომამ არავითარი გაკვირვება არ გამოიწვია. ფიქრობენ, რომ ახალ კაბინეტის შედგენის შემდეგ, რეიხსტაგი „გაშვებული იქნება და ამით მთავრობას რამდენიმე ხნით მიენიჭება მოქმედების სრული თავისუფლება.

პარიზის პრესა გადადგომის შესახებ.

ბერლინი 5 ოქტომბერი. პარიზის პრესას ეჭვი შეაქვს შტრეზემანის უნარიანობაში გადასწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანა. „ფიგარო“ ფიქრობს, რომ გერმანიაში სერიოზული ამბები მოხდება. მემარცხენე პრესა პასუხისმგებლობას გერმანიის უკანასკნელ ამბებისათვის ნაწილობრივ აკისრებს პუანკარეს.

თათბირი ყვითელ ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან

ბერლინი. 5 ოქტომბერი. გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგი“ იტყობინება, ომ ოთხშაბათს, ნაშუადღევს, რეიხსტაგის შენობაში გაიმართა გერმა-ის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერების თათბირი 2-რე ინტერ-აციონალის წარმომადგენლებთან, რომელთა შორის იყო შვეციის ყოფი-ი პრემიერი ბრანტინგი და რამდენიმე ინგლისელი.

ახალი კაბინეტის შედგენის ცდა უნაყოფოა.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. შტრეზემანს ჰქონდა თათბირი სხვადასხვა ირებთან ახალ კაბინეტში მათი შეყვანის შესახებ. მოლაპარაკება ჯერ-ჯერობით უშედეგოთ დამთავრდა. ფიქრობენ, რომ ახალ მინისტრების ანიშვნა მოხდება ახლო მომავალში, რადგან საქმე ვერ ითმენს გადა-დებას და სხვადასხვა პარტიებთან მოლაპარაკების გაჭიანურება შეუძ-ლებელია, მით უმეტეს, რომ საკითხი ეხება არა პარტიების შეცვლას, რამედ მთავრობის შემადგენლობაში მინისტრების პერსონალურად შე-ვანას.

დაპყრობილ ოლქებში

ენერალ დეგუტის მოთხოვნილება.

ბერლინი. 5 ოქტ. გენერალი დეგუტი მუშაობის განახლებას ოკუპაციაქმნილ ოლქებში უკავშირებს იმ გარემოებას, დათანხმდებიან თუ არა მუშები 10 საათის სამუშაო დღის განახლებას, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების დათხოვნასა და საფრანგეთის ხელისუფლებისათვის ფიცის მიცემაზე.

რურის ოლქში ტერორი გრძელდება.

ბერლინი. 5 ოქტ. მიუხედავათ

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა

გაფაციცებით თვალყურს ადევნებთ.

ცარიცინი 4 ოქტომბერი. წითელი ცარიცინის პროლეტარიატი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა გერმანიის ამბებს. ზოგიერთმა ქარხნებმა გადახდეს გერმანიის დასახმარებლად ხელფასის ნაწილი.

ვიატკის ახალგ. კომკავშირის დახმარება.

ვიატკა. 4 ოქტომბერი. პირველი რაიონის ახალგ. კომკავშირის წევრებმა გადახდეს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად 88 ფუთი ფქვილი.

მზად არიან ბრძოლისათვის საჭირო მომენტში.

პეტროგრადი. 4 ოქტომბერი. მბეჭდავთა საგუბერნიო კონფერენციამ მოისმინა ამხ. ციპეროვიჩის მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ გერმანიის რევოლიუციის დამარცხება ნიშნავს რუსეთის რევოლიუციის დამარცხებასო. გამოტანილ რეზოლიუციაში ბეჭდვითი საქმის მუშაკები ფიცს სდებენ საჭირო მომენტში მხარი დაუჭირონ გერმანიის მუშებს და გლეხებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ყოველი ძალ-ღონე იხმარონ, რათა გერმანიის ამბებმა წითელი ოქტომბერი გამოიწვიოს მთელ მსოფლიოში.

მთელი კავშირი მზად არის.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. რესპუბლიკების მთელი კავშირიდან მოდის ცნობები მშრომელთა, წითელ-არმიელთა და კურსანტების კრებების და კონფერენციების შესახებ, სადაც გამოაქვთ რეზოლიუციები გერმანიის დახმარების სასარგებლოთ.

პუტილოვის ქარხნის მუშები თავიანთ რეზოლიუციაში აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო კონტრ-რევოლიუცია თავს ესხმის არა მარტო გერმანელ მუშებს არამედ ს. ს. რ. კავშირსაც და მოუწოდებენ მუშებს და გლეხებს თვალყური ადევნონ საერთაშორისო კაპიტალის მტაცებელთა თითოეულ ნაბიჯს.

ასეთივე რეზოლიუციები გამოიტანეს ხარკოვსა, პოლტავასა, ნიკოლაევსა, ოდესასა, პოკროვსკსა და ვიკეში.

უცხოეთის ცხოვრება

ფაშიზმი ამერიკაში.

ფაშისტური მოძრაობა ამერიკაში, როგორც იტალიური—იტალიელ მუშათა შორის, ისე ადგილობრივი ამერიკული, იჩენს დიდ აქტივობას. კუ-კლუქს-კლანის შავრაზმელი ორგანიზაცია ამერიკაში ჯერ კიდევ მე 60 წლებიდან არსებული, რომელიც პირველ ხანებში მიზნად ისახავდა შავკანიანებთან ბრძოლას, დღეს ყველა ანტი-ამერიკულ და რევოლიუციონურ ელემენტებთან ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს. ინდიანას შტატში კუ-კლუქს-კლანი იმდენად გამაგრდა, რომ მისი ორგანიზაცია სრულიად აშკარად მოქმედობს. კუ-კლუქს-კლანის წევრებმა ინდიანში, წამოაყენეს კატოლიციზმის საწინააღმდეგო ბრძოლის ლოზუნგები, რის გამოც მათ მოახერხეს ფერმერების ასობით თავის რიგებთან შეერთება.

იმავე შტატში დაარსებულ იქნა ქალთა ორგანიზაცია—კამელია, რომელმაც დიდი პოპულიარობა მოიხვეჭა ფერმერების ცოლებსა და ქალიშვილებს შორის.

ოკლაჰომის შტატში კუ-კლუქს კლანმა ერთი წლის განმავლობაში 2,500 დამსჯელი ექსპედიცია ჩაატარა ტეხასში მის მიერ 4 ივლისს ჩატარებულ იქნა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 4,000 კაცზე მეტი. ინდიანაში მათ ხელთ იგდეს კონტროლი უნივერსიტეტზე. არკანზასის შტატშიც მათ დიდი ძალა მოიპოვეს.

იტალიის ფაშისტებიც აწარმოებენ მუშაობას ამერიკაში და იხვეჭენ ამერიკულ მთავრობის წრეების სიმპატიებს. ასე მაგალითად, ამერიკის ელჩი ჩაილდი რომში აშკარად ალიარებდა თავის სიმპატიას ფაშიზმის მიმართ და აცხადებდა, რომ ამით გამოსთქვამს არა მარტო პირად აზრებს, არამედ თავის მთავრობის ოფიციალურ შეხედულებას. იტალიის მუშათა პროფესიონალურ კავშირის მიერ ამა წლის დასაწყისში მოწვეული მუშათა ანტი-ფაშისტური ორგანიზაცია ფაშიზმის წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს. მას მხარს უჭერენ აგრეთვე ამერიკული პროფესიონალური კავშირები, მიუხედავად ჰომპერსის უარისა, რათა იგი ოფიციალურად მიმხრობოდა ანტი-ფაშისტურ მოძრაობას. ანტი-ფაშისტური ორგანიზაციები აგროვებენ თანხას იტალიაში ფაშიზმის მსხვერპლთა სასარგებლოთ

ინგლისის ბირჟა და მიწის ძვრა იაპონიაში.

დღემდის ძნელია ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა მიწისძვრისაგან მიყენებულ იაპონიის ზარალის რაოდენობის შესახებ. თუმცა ზარალი, როგორც სჩანს, ძალიან დიდია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ იაპონიამ დაჰკარგა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება.

როგორც ვიცით, იაპონიის ვაჭრობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტოკიოს და იოკაგამას, რომელთა მცხოვრებნი უდრის 3 ნახევარ მილ. იოკოგამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან იგი არის იაპონიის საგარეო ვაჭრობის ცენტრი. ეს სჩანს იქიდან, რომ იაპონიის საერთო იმპორტიდან 163 445.000 გირ. სტერლ. იოკაგამას ხვდებოდა 1922 წელს 65.215.000 გ. სტერ. ხოლო ექსპორტიდან—189.631 000 გ: სტ.—59.546.000 გ. სტერლ.

ინგლისის ეკონომიური პრესა ანგარიშობს იაპონიის ზარალს 200 მილ გირვანქად, მთელი სახალხო სიმდიდრე კი დღეს შეიძლება ვიანგარიშოთ 5—6 მილიარდ გირვ. სტერლინგად. ამგვარად, მიწისძვრისაგან მიყენებულ ზარალს არც ისე მძლავრად შეურყევია ქვეყნის სიმდიდრე. ამიტომ ინგლისის ბირჟას ეტყობა მტკიცე ტენდენცია დამშვიდე საზოგადოებათა ქაღალდების დარგში.

აღდგენის მიზნით იაპონიის მთავრობამ ეჭვს გარეშეა, უნდა მიმართოს საგარეო სესხს. თუმცა ამ სესხის ანაზღაურების პირობები იქნება გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე ჩვეულებრივი პირობები, მაინც სესხს სასურველად ჩათვლიან. საერთოდ ბირჟის წრეებში ინგლისს დიდი წარმოდგენა აქვს იაპონიის ფინანსიურ ალებ-მიცემაზე მიწის ძვრის შემდეგაც. ამით აიხსნება იაპონიის ფასიან ქაღალდების უმნიშვნელო დაცემა ლონდონის ბირჟაზე. ფასიან ქაღალდების უმრავლესობამ ხელახლა აიწია მიწის ძვრის შემდეგ (6—7 სექტემბერს) ყველაზე უფრო დაეცა ტოკიოს და იოკაგამას საქალაქო სესხი, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს უჯრედების ყველა მდივნებს საოლქო [illegible]ბებიდან

გამოცხადდენ შაბათს,

6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის [illegible] № 22) შენობაში, ძლიერ სასწრაფო და [illegible] ვინც არ გამოცხადდება, მიცემულ იქნება პასუხისგებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილების გამგე: **ბარსეგოვი.**

ტფილ. ალმასკომის კომკავშირში.

2 ოქტომბერს შესდგა ღია კრება ალმასკომის კომკავშირის უჯრედის, დაესწრო 90 კაცამდე ამათ შორის 50 იყო უპარტიო. დღის წესრიგში იყო მოხსენება ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხ. დარახველიძისა „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის დაშლის შესახებ. მან აღნიშნა ახალგაზრდა მენშევიკების შეცდომები და მათი ღალატი მუშათა კლასის საქმისადმი ახლო წარსულში. მათ წინააღმდეგ მაშინ იბრძოდა კომუნისტური ახალგაზრდობა, რომელიც თანდათანობით უყრიდა თავის გარშემო თავს მთელ მშრომელ ახალგაზრდობას. დღეს „ახალგაზრდა მარქსისტების“ საუკეთესო ნაწილმა შეიგნო თავისი შეცდომები, დაჰგმო ძველი გზა და ისდგება კომკავშირის პლატფორმაზე. ამის შემდეგ ამხ. დარახველიძე ფართოდ შეეხო ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის წარმოშობას და მას ისტორიას მოხსენების გამო, კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

ც. მ—ძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

იაპონია კატასტროფის შემდეგ

რამოდენიმე ქარხანაში შეწყდა მუშაობა. აბრეშუმის ექსპორტის შემცირების გამო მარტო ენკენისთვეში მთავრობამ იზარალა 11 მილიონი იენი.

იაპონიის აღდგენისათვის საჭირო ხარჯები გამოანგარიშებულია 5 მილიარდი იენით.

იაპონიის მთავრობის მიერ დანიშნული დელეგაცია ჩავიდა სევასტოპოლში, სადაც დაათვალიერა ნავთსადგური.

გოტო დაინიშნა იაპონიის აღმდგენელ კომისიის თავმჯდომარედ.

აღდგენის საფინანსო პროგრამა.

ტოკიო. 3 ოქტომბერი. დამთავრდა აღდგენის საფინანსო პროგრამა: 1) ყველა იმ სამუშაოს შეჩერება, რომელთაც არ აქვთ სასწრაფო ხასიათი, 2) მთავრობის ბონების გამოშვება და 3) უცხოეთის მსხვილი სესხი. პროგრამა შემუშავებულია 10 წლისათვის. იაპონიის აღდგენისათვის საჭირო ხარჯები გამოანგარიშებულია 5 მილიარდი იენით.

მრეწველობის დაცემა.

ოსაკა. 3 ოქტომბერი. იშეკის და ვაკიმის გემის სააღმშენებლო ქარხნებში შეწყდა მუშაობა. მუშები დაითხოვეს. აბრეშუმის ექსპორტის შემცირების გამო, მთავრობამ დაჰკარგა 11 მილ. იენი მარტო სექტემბერში.

გოტო—იაპონიის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე.

ოსაკა. 3 ოქტომბერი. გოტო დაინიშნა იაპონიის აღდგენის კომისიის თავმჯდომარეთ; ამავე დროს ის რჩება შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

იაპონიის მუშების სასარგებლოთ.

ბრიანსკი. 3 ოქტომბერი. პოლიტიკური კატორღელების საზოგადოების წევრმა კეფალიდიმ შეაგროვა ბრიანსკში იაპონიის მუშების სასარგებლოთ 40 ჩერვონეცი და პურის სესხის 80 ობლიგაცია.

იაპონიის სავაჭრო დელეგაცია.

სევასტოპოლი. 4 ოქტომბერი. ჩამოვიდა იაპონიის სავაჭრო დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი გაკვირვებული არიან მრეწველობის ასე ჩქარი აღდგენით.

დელეგაციამ დაათვალიერა საზღვაო ქარხნები, გემის საამშენებლო სახელოსნოები, ღვინის და თამბაქოს მეურნეობანი და პურის ექსპორტის სამმართველო.

მიწისძვრა კუნძულ ფორმოზაზე.

ბერლინი. 4 ოქტომბერი. კუნძულ ფორმოზას (იაპონიის საკუთრება) აღმოსავლეთის ნაწილი ძალიან დაზარალდა მიწისძვრისაგან, რომელიც ერთი საათი გრძელდებოდა. ქალაქ ტაიტოს თითქმის ყველა შენობები დანგრეულია. ზარალი ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული.

მიწისძვრის დროს ნახშირის მაღაროებში მომხდარ აფეთქების გამო მოკლულია მაღაროს 5 მუშა.

ინტერვიუ ს. ს. რ. კავშირისადმი.

ტოკიო. 4 ოქტომბერი. გაზეთ „ძიძი“-ში დაბეჭდილია ინტერვიუ ჩიჩერინთან.

„ასახი“ ბეჭდავს ნაკოიამას წერილს, რომელიც აღნიშნავს, რომ **რუსეთი რევოლიუციონურ ციხიდან გადაიქცა დიდ მშვიდობიან მწარმოებელ სახელმწიფოთ.**

4 ოქტომბერს „ძი-ძი“ გამოაქვეყნებს ტროცკის განცხადებას ს. ს. რ. კ. შეიარაღებულ ძალების შემცირების შესახებ.

რუსეთ იაპონიის მოლაპარაკების განახლება

ნორტხოლდი. 4 ოქტომბერი. „ტაიმს“-ის ცნობით, იაპონიის მინისტრი იშუინი უარყოფს ცნობას რუსეთ იაპონიის მოლაპარაკების განახლების შესახებ. ის პრინციპიალურათ რუსეთთან მეგობრობის მომხრეა, მაგრამ ეხლანდელ მომენტს ხელსაყრელათ არა სთვლის მოლაპარაკებისათვის.

მდგომარეობა ოსმალეთში

სტამბოლის ევაკუაცია დამთავრდა: მოკავშირეებმა დასტოვეს სტამბოლში მხოლოდ მცირე ესკადრა და 8 ოქტომბერს სავსებით დასტოვებენ სტამბოლს.

ევაკუაცია უინცინდენტოთ ჩატარდა; ოსმალეთის ჯარსა და მოკავშირეთა შორის მოხდა სალიუტების გაცვლა გამოცვლა.

ანგორაში იგზავნებიან ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები, რომლებიც დაიკავებენ ელჩების პოსტებს.

სტამბოლის ევაკუაცია დამთავრდა.

ანგორა. 3 ოქტ. **სტამბოლის ევაკუაცია დამთავრდა.** ლოზანის ხელშეკრულების თანახმად, **მოკავშირეებმა დასტოვეს მხოლოდ მცირე ესკადრა. ოსმალეთის ჯარები შევლენ სტამბოლში 6 ოქტომბერს.**

რომი. 4 ოქტ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა და ოსმალეთის გენერლებმა ხელი მოაწერეს ოქმს ყაზარმების ოსმალეთის ხელისუფლებისათვის გადაცემის შესახებ. **დღეს მოკავშირეთა უკანასკნელი ჯარები სტოვებენ სტამბოლს.**

ლონდონი. 4 ოქტ. **ევაკუაცია უინციდენტოთ ჩატარდა.** ბრიტანეთის სამხედრო მასალების და ჯარისკაცების დატვირთვა მოხდა წინასწარ შემუშავებულ პროგრამის თანახმად. გამოსათხოვარ ალლუმში მონაწილეობას იღებდენ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარები. **ოსმალეთის რაზმებსა და მოკავშირეებს შორის მოხდა სალიუტების გაცვლა-გამოცვლა.** მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა ჰარინგტონმა წერილით მიმართა ოსმალეთის ხალხს, რომელშიაც ბედნიერებასა და კმაყოფილებას უსურვებს მას.

ტყვეების გაცვლა.

ანგორა. 3 ოქტ. ტყვეების გაცვლა-გამოცვლის ოსმალეთის დელეგაცია გაემგზავრა სალონიკში.

მოკავშირეთა ელჩები ანგორაში.

ანგორა. 3 ოქტ. **ანგორაში იგზავნებიან ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები,** რომელნიც მოკავშირეების მიერ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, შეცვლილი იქნებიან ელჩებით.

ტერორი ბულგარეთში

ბულგარეთის მთავრობა მოითხოვს კოლაროვისა და დიმიტროვის გაცემას.

ვენა. 4 ოქტომბერი. ბულგარეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა სამხრეთ-სლავიის მთავრობას, რათა **გაცემულ იქნენ ბულგარეთის მთავრობის განკარგულებაში კოლაროვი და დიმიტროვი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბულგარეთის მთავრობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გზავნის სამხედრო ექსპედიციებს.**

ცილისწამება.

ვენა. 4 ოქტომ. ბუქარესტის გაზეთმა „უნივერსულ“-მა გამოაქვეყნა აგვისტოში შემდგარ კომპარტიის ბალკანეთის ფედერაციის ყრილობის შეთხზული ოქმი, რომელიც, თითქოს, აღმოჩენილი იყოს ჩხრეკის დროს სოფიაში.

სხვადასხვა

ინგლისი

ამხ. რაკოვსკის განცხადება.

ბერლინი. 4 ოქტომბერი. რაკოვსკიმ „დეილი გერალდ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ს. ს. რ. კავშირი ყოველივე ზომებს მიიღებს რუსეთ-ინგლისის მეგობრული ურთიერთობის აღსადგენათ. როგორც რაკოვსკიმ აღნიშნა, რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება, რადგანაც საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანობაა.

მაროკო

ესპანელების ახალი დამარცხება.

ლონდონი. 4 ოქტომბერი. **რაფის კაბილებმა განაახლეს ენერგიული შეტევა ესპანეთის პოზიციებზე,** რომელთაგან ორი, პარიზიდან მიღებული ცნობით, დაიკავეს კაბილებმა.

საფრანგეთი

მარტის მოთხოვნილება.

პარიზი. 3 ოქტომბერი. **გენერალურ საბჭოს სესიის სხდომაზე აღმოსავლეთ პირინეიში, მარტიმ მოითხოვა საერთო ამნისტია.**

უნგრეთი

ლტოლვა კონტრ-რევოლიუციის კერისაკენ.

ვენა. 4 ოქტომბერი. უნგრეთის კონტრ-რევოლიუციონერების მეთაური ფრიგერიუგი უნგრეთიდან მიუნხენში გაემგზავრა.

არ რცხვენიათ დევნის.

ვენა. 4 ოქტომბერი. **უნგრეთის მთავრობამ აკრძალა სოციალ-დემოკრატიული კრებები.** სოციალ-დემოკრატების მეთაურები აშკარათ აცხადებენ, რომ ისინი იბრძოლებენ მთავრობის პროვოკაციის წინააღმდეგ და კამპანიას დაიწყებენ პოლიტიკურ ემიგრანტების დაბრუნების სასარგებლოთ.

პოლონეთის ამბები

დამთავრდა აღმოსავლეთ გალიციაში შარშან მომხდარი აჯანყების მონაწილეთა პროცესი; 8 ბრალდებულს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა.

ვარშავის პროფკავშირები გამოქვეყნებულ წერილში აცხადებენ, რომ მათ მუქარით და მკაცრი ზომებით ვერ შეაშინებს მთავრობა.

მოელიან გარეშე საქმეთა მინისტრის გადადგომას.

აღმოსავლეთ-გალიციის აჯანყებულთა პროცესი.

ვარშავა. 3 ოქტ. დამთავრდა აღმოსავლეთ-გალიციაში შარშან მომხდარი აჯანყების მონაწილეთა პროცესი. სამ ბრალდებულს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, დანარჩენებს—კატორღა სხვადასხვა ვადით.

რეპრესიები ვერ დააშინებს პროფესიონალურ მოძრაობას.

ვარშავა. 3 ოქტ. სახელმწიფო მოსამსახურეების დელეგაციისადმი მიმართული ვიტოსის სიტყვების საპასუხოდ „როგორც გსურთ ისე მოიქეცით, ხვალ უარესი იქნება, ვინემ დღეს“-ო, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირი ღია წერილში აცხადებს, რომ **რეპრესიებით დამუქრება ვერ დააშინებს პროფესიონალურ მოძრაობას.** მთავრობამ დააპატიმრა კრაკოვის მოხელეთა დელეგაცია, რომელიც მიემგზავრებოდა ვარშავაში. **მღელვარება მოხელეებს შორის ძლიერდება. რკინისგზელები და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები მოითხოვენ გაფიცვის გამოცხადებას. მოხელეები კიდევ ვერ სდგამენ გარკვეულ ნაბიჯს.**

ხმები პოლონეთის კაბინეტში მომხდარი ცვლილების შესახებ.

ვარშავა. 3 ოქტ. სეიმის კულუარებში **გაცხარებით ლაპარაკობენ გარეშე საქმეთა მინისტრის სეიდის გადადგომის შესახებ.** სკირმუნტი და დმოვსკი, როგორც სჩანს, უარს ამბობენ კანდიდატურაზე. ასახელებენ ახალ კანდიდატს—დანციგის გენერალურ კომისარს პლუცინსკის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ეკლესიის ზარები საჰაერო ფლოტისათვის

ნოვონიკოლაევსკი. 4 ოქტომბერი. კარაკანის ვოლოსტის (ტომსკის მაზრა) უპარტიოთა კონფერენციამ დაადგინა, საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გადასცეს ეკლესიის ზარები.

100,000 ფუთი ერბოს და ყველის გაზიდვა.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. **ცენტროკავშირს განზრახული აქვს გაზიდოს ინგლისში 100,000 ფუთი ერბო და ყველი.**

ცენტროსოიუზის თათბირზე გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან გადაწყდა დაინიშნოს სასწრაფო მატარებლები დღე და ღამეში 300 ვერსის სიწრაფით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

სანაოსნო მუშაკთა ხელფასი.

ბაქო. 2 ოქტ. ამ ბოლო დროს ნავთის სინდიკატს 3.400 ოქროს მანეთი ვალი დაედო კასპიის ფლოტის სანაოსნო სამმართველოსი, ამის გამო ხელფასი ვერ მისცეს სანაოსნო ტრანსპორტის ყველა მუშებს.

სატელეფონო ქსელის აღდგენა.

ბაქო. 2 ოქტ. ბაქოს სატელეფონო ქსელის სამმართველო ამ დღეებში მიიღებს სატელეფონო ნაწილებს, რომელიც დაკვეთილი ჰქონდა საზღვარ-გარედ. წელს სწრაფი შეკეთება სწარმოებს სატელეფონო ქსელისა და თავითონ სადგურისაც. ნავარაუდევ სამუშაოს 70—80 პროც. უკვე მოთავებულია. 1910 წლიდან არც სადგური და სხვა არაფერი არ ყოფილა შეკეთებული.

ელექტრო-აღმშენებლობა.

ბაქო. 2 ოქტომბერი. ბაქოში ჩამოვიდა ელექტრო-ტეხნიკური სამმართველოს მთავარი ინჟენერ-ინსპექტორი ამხ. ვიცმანი, რომელიც გამოგზავნილია ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ელექტრო-აღმშენებლობის გასაცნობად. კერძოდ მას დავალებული აქვს ბაქოს ტრამვაისა და ნავთის სამრეწველო ადგილების ელექტროფიკაციის გაცნობა. ამხ. ვიცმანმა განაცხადა, რომ არც ერთს ქალაქში, მოსკოვიც რომ შიგ ჩავთვალოთ, არ არის ასე უხვად მოწყობილი ელექტრონის განათება, როგორც ბაქოში. მაგრამ ბაქოს სადგურებს მაინც სჭირდებათ შეკრება და ახალი ტურბინების დადგმა. ამხ. ვიცმანის აზრით, სწორედ შესაფერი დრო არის ან ახალი ჰიდრო-ელექტრო სადგური აიგოს მდ. სამურზე, ან ახალი სადგური აიგოს ბაქოში, ამავე დროს შესაძლებლად მიაჩნია არსებულ ელექტრო-სადგურების გაფართოვებაც. დაყოვნება აღარაა საჭირო, საქმეს ახლავე უნდა შეუდგეთ.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 2 ოქტომბერი. 24—26 სექტემბრის განმავლობაში ბაქოს ყველა სარეწაოებზე ამოღეულია 1,831,000 ფუთი ნავთი. გადაქაჩვისათვის აღებულია 915,000 ფუთი, გადაქაჩვისაგან მიღებულია 905,000 ფ. ბურღვაში იყო საშუალოდ 175 დაზგა, ამობურღულია 337 საჟ.

საბჭოთა დაწესებულებების გაწმენდა.

ნუხა. 1 ოქტომბერი. ნუხის აღმასკომმა დაარსა სპეციალური კომისია მაზრის საბჭოთა დაწესებულებების არასასურველ ელემენტებისაგან გასაწმენდათ. კომისიაში შევიდნენ სამაზრო აღმასკომის, აზერბეიჯანის საგანგებო კომისიის, სამაზრო პარტკომის და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები.

შეშის დამზადება.

ლენქორანი. 1 ოქტომბერი ლენქორანის სამაზრო აღმასკომი შეუთანხმდა ადგილობრივ ტყის მეპატრონეთ შეშის დამზადების შესახებ მაზრის სკოლებისათვის.

თევზის დაჭერა.

სალიანი. 1 ოქტომბერი. სალიანში ამხ. ნარიმანოვის სახელობის სარეწაოზე შეუდგნენ თევზის დაჭერას. დაწყებულია მუშების მიღება. შემჩნეულია გლეხების ლტოლვა ჩრდილოეთ მუღანიდან, რომელნიც სამუშაოს ეძებენ (ცუდი მოსავლის გამო

სომხეთი

აღმშენებლობა

სტეპანოვანი. 4 ოქტომბერი. სტეპანოვანის (ჯელალოღლის) აღმასკომის საამშენებლო მუშაობაში პირველი ადგილი უჭირავს გზატკეცილის გაყვანას სტეპანოვანიდან სადგურ კალაგერანამდე. გზატკეცილის უმეტესი ნაწილი დამთავრებულია. დანარჩენი ნაწილი დამთავრებული იქნება მომავალ გაზაფხულს. ზამთარში განზრახულია მდინარე ბებედაჩზე ორი ხიდის გაშენება.

კამარლუ. 4 ოქტომბერი. გრძელდება კამარლუ-დალულარის გზატკეცილის მუშაობა. მუშაობაში ჩაბმულია 1400 მუშა ხელი. დალულარ-დვინის გზატკეცილი მალე იქნება დათავრებული.

პარტიული ცხოვრება

საქართ. ცენტრალურ პარტ-სკოლაში

29 სექტემბერს შესდგა ცენტრალური პარტსკოლის მსმენელთა საერთო კრება.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. კერესელიძე, მდივნად—ალ. კალანდაძე.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ცენტრ-პარტსკოლის გამგის ამხ. ხაჭაპურიძის, 2) საზეიმო საღამოს მოწყობა და 3) სტუდკომის არჩევნები.

ამხ. ხაჭაპურიძე ეხება მსმენელების მოვალეობას და მოუწოდებს კრებას ენერგიულ მუშაობისაკენ სწავლის შესაძენად.

საზეიმო საღამოს მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სალაძემ, რომელმაც აღნიშა, რომ აუცილებლად უნდა მოეწყოს საზეიმო საღამო მეცადინეობის დაწყებამდის, სადაც უნდა იქნეს მოწვეული საქართველოს კომპარტიის ლიდერები.

ამ საკითხის მოსაგვარებლად არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი საზეიმო საღამოს მომწყობი კომისია. კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: კერესელიძე, კალანდაძე და გოგისვანიძე. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და დაარსა დრამატიული დასი, რომელიც დასდგამს წარმოდგენას საღამოსათვის.

შემდეგ, ცენტრპარტსკოლის სტუდკომში არჩეულ იქნენ 7 ამხანაგი: ბუთხუზი, კარაპეტიშვილი, თოიძე კერესელიძე, კალანდაძე, გოგისვანიძე და ზასუხინი.

კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

ალ. კალანდაძე.

სრულიად საქართველოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა გამგეების მე-2-ე ყრილობა

28 სექტემბრის სხდომა

10 საათზე და 30 წუთზე სხდომას ხსნის შ. ს. ს. კ. მთავარ კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. კ. ნანეიშვილი.

მოხსენებას ადგილობრივ ფინანსების შესახებ აკეთებს ამხ. ხახანაშვილი.

ადგილობრივი ფინანსები.

მომხსენებელმა გაარკვია, თუ რას ნიშნავს ადგილობრივი გადასახადი და ფინანსები ეს არის ადგილობრივ საშუალებებით ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ საკითხს აქვს სამი მხარე: პრინციპიალური, პრაქტიკული და ისტორიული.

შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ ადგილობრივ გადასახადების პრინციპი რუსეთში ჩამოყალიბდა ოთხი წლის წინეთ.

შემდეგ გადადის იმაზე, თუ რა ცვლილება განიცადა მან რევოლიუციის შემდეგ. არკვევს კერენსკის დროის კანონებს და იმ ცვლილებებს, რომელიც შეიტანა კერენსკის მთავრობამ ადგილობრივ ფინანსების შესახებ კანონში. აღნიშნული კანონი შეეხებოდა თვითდაბეგვრას. კანონის მე 29 მუხლის ძალით ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება ენიჭებოდა მოქალაქეებზე ხარჯების გაწერისა იმ გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობილობისათვის, რომელსაც ექნებოდა მნიშვნელობა მხოლოდ ცალკე ნაწილისთვის, ან უბნისთვის.

ადგილობრივი ბიუჯეტი ოქტომბრის შემდეგ.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰქონდა საშუალება სათანადო ყურადღება მიექცია ადგილობრივ გადასახადების და ფინანსების საკითხებისათვის, ვინაიდან ის ჩაბმული იყო სამოქალაქო ბრძოლაში; მას უხდებოდა ბრძოლა შინაურ და გარეშე მტერთან. შემდეგ, როცა მუშათა კლასმა გაიმარჯვა და ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მთავრობამ ამ მხრივ შესაფერი ნაბიჯი გადასდგა. მან 1922 წელში გამოსცა კანონი ადგილობრივ ფინანსებზე. მომხსენებელი ხსნის მის შინაარს და მნიშვნელობას. მისი ძირითადი საფუძველია მცხოვრებთა ხარჯთაკრეფის უნარიანობა და სამაგიეროს სამსახურის გაწევის პრინციპი. შემდეგ მომხსენებელი არკვევს, თუ როდის შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართოს იძულებით უფლებებს.

მომხსენებელი გადადის შენობების შეფასებაზე. დღევანდელი შეფასება, რომელიც გამოიხატება მექანიკურად ქირის გადიდებაში, მიუღებელია. სახლების შეფასება უნდა ხდებოდეს ხუთ წელიწადში ერთხელ. შემდეგ მომხსენებელი არკვევს როდის აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას უძრავ ქონებაზე გადასახადების გაწერის უფლება.

მომხსენებელი მუხლობრივად იხილავს კანონს ადგილობრივ გადასახადების შესახებ.

სატრაქტირო და სარეწაო გადასახადს ბოსტნებზე და ბაღებზე, მომხსენებელის აზრით, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პატარა ქალაქების ბიუჯეტისთვის.

საბინაო გადასახადი მომხსენებელს მიზანშეუწონლად მიაჩნია. რუსეთში აღნიშნული გადასახადი უკვე მოხსნილია აუცილებლად ჩვენშიაც მოსპობილი უნდა იქნეს.

დასასრულ მომხსენებელი ეხება მთელ რიგ გადასახადებს და შემდეგ გადადის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაზე და მის დეფექტებზე.

მოხსენების შესახებ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობენ: ლუკაშვილი, რამიშვილი (აჭარისტანი) ამხ. სვანიძე (ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში) პასუხს აძლევს ლუკაშვილს, რამიშვილს და იცავს მომხსენებელის დებულებებს.

დაბოლოს მომხსენებელმა ოპონენტებს სათანადო პასუხი გასცა და სხდომა ამით გათავდა.

სხდომა საღამოს

სხდომა იხსნება 5—20 წუთ. სხდომას ხსნის პრეზიდიუმის წევრი ამხ. გ. რამიშვილი.

ბორჯომის დელეგატი ამხ. რობიტაშვილი.

ბორჯომის კომუნ. განყოფ. მუშაობა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომუნალური განყოფილება დაარს 1922 წლის თებერვლის რიცხვებში.

იმჟამად ბორჯომი იყო ცალკე მა რად გამოყოფილი, მხოლოდ მიმდ ნარე წლის ივლისიდან მიეკრა ის გორის მაზრას, რაც მუშაობას ძლი ხელს უშლის.

თანამშრომლების ხელფასის გად და სწარმოებს კოლექტიურ ხელშ რულებით.

საერთოდ კომუნალურ განყო ლების მუშაობა ვერ იყო კარგი ი გამო, რომ ყველა წარმოებანი მუნიციპალიზაციაქმნილი სახლებ დავიდა საკურორტო სამმართველ ხელში, რომელიც სრულებით ზრუნავს ქალაქის კეთილმოწყობ და აღნიშნულ საქმეს აკისრებს მუნალურ განყოფილებას, რომელ სალარი არ მოეპოება. შემოსავ ღებულობს საკურორტო სამმარ ველო.

ალმასკომს და კომუნალურ გან ფილებას უკავია მხოლოდ ერთი ნობა. ახლო ხანში დაარსებულ მოხალისე ხანძართმქრობი რაზმი.

სამხრეთ-ოსეთის კომუნალურ ყოფილებათა მუშაობა.

(მომხსენებელი ამხ. პელანი).

მომხსენებელი აღნიშნავს, სამხრეთ ოსეთში დღემდე კ ლური განყოფილება, როგორ ც ერთეული, არ არსებობდა. მის ქციებს ასრულებდა სამხრეთ ოს სახალხო მეურნეობის საბჭო, მადაც გარდა ქ. ცხინვალისა კ ნალური განყოფილება სამხრეთ თის სხვა ადგილებში არ არსებ

საბინაო საკითხს სწყვეტს და ნაგებს სამხრეთ ოსეთის შინაგან ქმეთა სახალხო კომისარიატი და წებისა და ბაღების მოწყობა ექსპ ტაციას ეწევა მიწად-მოქმედების მისარიატი.

განყოფილების განკარგულ ყოფილა სახერხავი ქარხანა ორი რხით. აღნიშნული ქარხანა ვერ ყოფილებს შემოსულ მოთხოვ ნებს. ამიტომ განზრახულია მის ფართოება.

გადაწყვეტილია ქ. ცხინვალში ნის აგება, რომელსაც საქართვ ჯანმრთელობის განყოფილება რიალურად უზრუნველყოფს.

განყოფილების განკარგულ ყოფილა აგრეთვე ქალაქის წორი.

რადგან არ არსებობს ცხინ გეგმა და გამორკვეული არ არ რეთვე მისი ფარგლები, ამიტ წვეულია ინჟინერ-აღმშენებელ საკითხის მოსაგვარებლად.

სათანადო ზომები ყოფილა ბული ქალაქის კეთილმოწყ და გზების გაყვანაზე, გაყვა ცხინვალ-როკამდე, რისთვისაც სკოვიდან ღებულობენ სათანად ხმარებას. სწარმოებს მუშაობა ნარე ლიახვის ნაპირის გასამ ლად.

განზრახულია ჰიდრო ელსად აგება.

მომხსენებელი აღნიშნავს, ლაქს ხანძართმქრობი რაზმი ა თუმცა ქალაქი ამ მხრივ ძლ შიშ მდგომარეობაშია.

ამხ. პელანის შემდეგ ტ ალმასკომის კომუნალურ მეუ განყოფილების მოქმედების მოხსენებას კითხულობს ამხ.

ახალქალაქის კომუნალ. მე ბის განყოფილება.

მომხსენებელმა აღნიშნა მოხ შესავალში კომუნალურ განყ ბის ორგანიზაცია და მისი დებულება ალმასკომთან.

ახალქალაქი ამ ომიანობის ძლიერ დაზიანდა და მისი შ 60 პროც. თითქმის განადგუ იყო. მიღებული იყო ყოველივ მის აღსადგენად: შეკეთებულ ბები, სასწავლებლები და გ გზები, შეკეთებულია თამბაქ ხანა და სხვა.

ფინანსიური მდგომარეობ ლოა.

კომუნალურ განყოფილებ შემდეგი წარმოებანი: სტამ ბაქოს ქარხანა და ჰიდრო- რი. კომუნალურ განყოფილ

...ლი ქონების საერთო ჯამი განისაზღვრება 100,000 ოქროს მანეთით ...კაპიტალიზაცია ქვნილ სახლების ...ბულება კი 75.000 მანეთი ოქროთი.

...ვინაიდან წარმოებები იძლეოდნენ ...ფიციტს, ამიტომ ისინი გაცემულ...ი არი ნ იჯარით. ელსადგურს სჭირ...ება კაპიტალური რემონტი.

...სამინაო საკითხი ახალქალაქში ...რისდამაინც არ განიცდის კრიზისს.

ქალაქის ფარგლებში არის 550 ...დესეტინა მიწა. მათში ქალაქს უკავია 5 ქცევა საბოსტნეთ, დანარჩენი კი ს ძოვარი და სათესი ადგილებია. სათეს ადგილებიდან კომუნალური განყოფილება იღებს ერთ მეექვსედს; და საძოვარ ადგილებიდან მცხოვრებთ აძლევინებს მხვილფეხა საქონელზე 60 კაპ. ჩერვონეცების, და წვრილფეხა საქ. 30 კაპ.

ქალაქის ფარგლებში სხვა კულტურულ მნიშვნელობის მიწები არ არის, არის მხოლოდ ერთი სასეირნო ბაღი დაზიანებულია ყოფილ ბაკურიანის. შოსე გზა, შეკეთებისთვის კომგანს სახსარი არ მოეპოვება.

ა.-კავ. საქონლის-საფონდო ბირჟების წარმომადგენელთა კონფერენცია

(დასასრული)

ამხ. კაფაფიდი აკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ბირჟის ზეგავლენა სავაჭრო ჩვეულებათა და კანონმდებლობის გამომუშავებაზე“ ამასთანავე ის აღნიშნავს თანამედროვე საბირჟო ცხოვრების განვითარების პროექტს, როგორც სავაჭრო ბრუნვის მექანიზაციას, როგორც სავაჭრო პროცესუალურ საშუალებათა მექანიზაციას და სხვა. ამ ურთიერთობათა მთელი სფერო მოითხოვს თავის კანონმდებლობისათვის მატერიალურ და პროცესუალურ ხასიათის განსაკუთრებულად ლოკალურ ნორმებს, ე. ი. მოითხოვს სავაჭრო კანონმდებლობას, ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი საქმე გააკეთა სამოქალაქო კოდექსის გამოცემით და შეუდგა სავაჭრო კანონმდებლობის გამომუშავებას. ამ მუშაობაში საჭიროა მონაწილეობა მიიღონ ბირჟის მოღვაწეებმაც. საარბიტრაჟო კომისიებს შეუძლიან დიდი როლი ითამაშონ ამ მხრივ.

ამ კომისიების გადაწყვეტილებანი, რომელთაც გამოიტანენ ამ საკითხებში სავსებით კომპეტენტური პირები იქნებიან მასალა იურიდიულ ორგანოებისათვის.

ამხ. კაფაფიდის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად.

შემდეგ ამხ. მარკარიანი აკეთებს მოხსენებას რიგს გარეშე „კომერციულ ინფორმაციის შესახებ“; ეს საკითხიო, ამბობს მომხსენებელი, არის ყველაზე კარდინალური ბირჟის ცხოვრების პირობებში. თუ ბირჟა უძღვება ვაჭრობას, მაშინ თანამედროვე კომერციული ინფორმაცია არის ბირჟის მთავარი ძარღვი“.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს მოსკოვის კომერციულ დეპეშათა სააგენტოს მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნავს მის ზოგიერთ დეფექტებს და დასკვნაში აყენებს შემდეგ რეზოლუციას:

„ამიერ-კავკასიის ფედერაციის საგარეო კომიტეტების წარმომადგენელთა კონფერენციას საჭიროთ მიაჩნია ამიერ-კავკასიის ფარგლებში კომერციულ ინფორმაციის ორგანიზაცია და მისი გავრცელება ფრიად სასურველია არა მარტო საგუბერნიო ცენტრებში, არამედ სამაზრო ქალაქებშიც. ყველა სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანოები თავის კომერციულ და სამეურნეო ცხოვრებაში უნდა ხელმძღვანელობდნენ იმ ცნობებით, რომელიც მოთავსებული იქნება კომერციულ დეპეშათა სააგენტოს ოფიციალურ ბიულეტენში. ყველა სამეურნეო სახელმწიფოებრივ ორგანოებისათვის ვრცელი ინფორმაციის მისაწოდებლად ვალიუტის და საქონლის ფასების ცვლილების შესახებ არა მარტო ს. რ. კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბით, სასურველად იქნას ცნობილი კომერციულ დეპეშათა სააგენტოს ბიულეტენების გავრცელება ყველა აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციებს შორის“.

ეს რეზოლიუცია მიღებული იქნა ამხ. კაზაკოვის დამატებით: „იქ, სადაც არ არის ბირჟა, იხელმძღვანელონ ბიულეტენის ცნობებით, ხოლო სადაც ბირჟა არსებობს — ბირჟის ცნობებით“.

საკითხი საქონლის და საფონდო სექციების მუშაობის შესახებ.

ამხ. კალანტაროვის მოხსენების გამო ბირჟების საფონდო განყოფილებათა მოწყობის და სტრუქტურის შესახებ, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ბირჟა და კერძოთ მისი საფონდო განყოფილება, უნდა იყონ არა მარტო შუამავლები, არამედ სავალიუტო ბაზრის და ვალიუტის კურსის რეგულიატორები და სახელდობრ: ბირჟის ბრუნვაში როგორც სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული, ისე კერძო კაპიტალის ფართოდ ჩაბმა; კურსის ისეთ დონეზე დაყენება, რომელიც ეთანხმება საერთო ფინანსიურ-ეკონომიურ კონიუნქტურას; „შავ ბირჟასთან ბრძოლა“.

ამისათვის საჭიროა: ბირჟის საქმის ტეხნიკის სწორი და ზედმიწევნითი რეგლამენტაცია; ბირჟის გარიგებათა სწორი აღრიცხვა; დალალების უფლებათა და მოვალეობათა სწორი განსაზღვრა, დალალების, რომელნიც არიან ტეხნიკური აღმასრულებელი და ბირჟის პრინციპების ცხოვრებაში გამტარებელი; განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ფასების დამწესებელ კომისიების მუშაობისათვის, რომელთა ამოცანას შეადგენს სწორი და საერთო კონიუნქტურისათვის შესაფერისი ვალიუტის კურსის გამომუშავება; საარბიტრაჟო კომისიების მოღვაწეობის გაძლიერება; ფინანსთა სახ. კომისარიატის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ყველა საგადასახადო განაკვეთების და ყოველგვარ გადასახადების ჩერვონცებზე გადაყვანის და მთელი ამიერ-კავკასიისათვის ჩერვონცის ერთიანი კურსის დაწესება, რომელი კურსიც სავალდებულო უნდა იქნეს რკინის გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფისათვის. ერთიან კურსათ ჩაითვალოს ტფილისის ბირჟის ყოველდღიური ოფიციალური კურსი; ჩერვონეცის კურსის მოსაწესრიგებლად მიენიჭოს ბირჟებს უფლება აწარმოვონ ურთიერთ შორის საარბიტრაჟო ოპერაციები“.

გარდა ამისა პლენუმი იწონებს მთელ რიგ ღონისძიებათ, რომელიც ხელს უწყობს „შავ ბირჟასთან“ წარმატებით ბრძოლას, სახელდობრ: აეკრძალოს დალალებს აწარმოვონ საფონდო გარიგებანი ბირჟის კრებების საათების გარეშე, დაწესდეს ერთიანი დრო ყველა საბირჟო კრებებისათვის; მოეწყოს ვალიუტის დამხურდავებელი სალაროები, რომელნიც უნდა იყონ ბირჟის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, აღიძრას შუამდგომლობა მშრომელთა შემნახავ სალაროების საჩქაროთ გახსნის შესახებ და სხვა.

გარდა აღნიშნულ რეზოლიუციისა მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია საფონდო სექციისა ამხ. ფელზერის მოხსენების გამო საკრედიტო დაწესებულებათა შესახებ:

1) „საჭიროდ იქნას ცნობილი სახელმწიფო ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა მჭიდრო კონტაქტი ამიერ-კავკასიის ბირჟებთან და მათი მონაწილეობა საბირჟო კრებებზე, 2) აღიარებულ იქნას, რომ საკრედიტო დაწესებულებათა საქონლის განყოფილებანი, რამდენადაც ისინი ასრულებენ წმინდა სავაჭრო ფუნქციებს, ექვემდებარებიან ბირჟის ვაჭრობის საერთო წესებს“.

შემდეგ კონფერენცია იხილავს და იღებს ბირჟის საქონლის განყოფილების რეზოლიუციას: „ბირჟის კომიტეტი უნდა იქნას არჩეული, ამასთანავე უმაღლეს მთავრობის ორგანოების მიერ დაწესებული იქნება ბირჟის კომიტეტის წევრთა სავალდებულო რიცხვი, სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციისათვის; კომიტეტის პრეზიდიუმს ირჩევს ბირჟის კომიტეტი; საქონლის ბირჟასთან საჭიროა დაარსდეს საექსპერტო ბიურო; საქონლის განყოფილების კრებები გაგრძელდეს 2 საათის განმავლობაში; ბირჟის ბიულეტენების შედგენა მიენდოს საქონლის და საფონდო ფასების დამწესებელ კომისიებს, რომელთაც ირჩევს ბირჟის კომიტეტი, კომიტეტის წევრის თავმჯდომარეობით, ამასთანავე საფონდო კომისიაში აუცილებლად შედის, ფინანსთა სახ. კომისარიატის ერთი წარმომადგენელი“. გარდა ამისა რეზოლიუციაში აღნიშნულია სხვადასხვა ღონისძიებანი, რომელიც ეხება საქონლის ოპერაციებს, დალალების მიერ ბირჟის გარეშე გარიგებათა დადებას და სხვა. სხდომის დასასრულში გამოთქმული იქნა სურვილი, რათა შემდეგი კონფერენცია მოწვეული იქნეს ბაქოში, რის შემდეგ კონფერენცია დახურულად იქნა გამოცხადებული.

რკინის ნავთსადგურის რემონტი ბათომში.

ამიერკავკასიის სავაჭრო სამმართველოში აღძრულია საკითხი ბათომში რკინის ნავთსადგურის (ყოფილი როსტრანი) შეკეთებაზე. სათანადო ხელშეკრულება ამიერკავკასიის ნავთსადგურთა განყოფილებასთან უკვე დადებულია.

მუშკოპის ფასები.

(4 ოქტ.)

პური 1 ხარ. — 320 ათ, პური 2 ხარ. — 220, ძროხის ხორცი — 1 მილ., ცხვრის ხორცი — 1400 ათ., ფხვნილი შაქარი — 2,290, მაკარონი — 875, ბრინჯი ალდაშის — 590, კართოფილი — 110.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(4 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. — 350 — 400 ათ., პური 2 ხარ. — 250, ძროხის ხორცი — 1200, ცხვრის ხორცი — 1500, შაქარი რაფ. — 2750 ათ., ფხვნილი შაქარი — 2350, მაკარონი — 950 — 1 მილ. ბრინჯი ალდაშ. — 650, კართოფილი — 125 — 150.

ბირჟის მიწოდება.

(4 ოქტომბერი).

ლურსმნები, ფხვნილი შაქარი, ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი), კრასნოდარის მაკარონი, საწერი ქაღალდი და კარტონი. კანაფი და თოკები, ტომრები, მატყლი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური პროდუქტები, ასანთი რუს. კაუსტიური სოდა საპონი, ცემენტი და ეტერნიტი, ბორჯომის კანიფოლი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ ევკალიპტის ზეთი, კონიაკის სპირტი, რკინეულობა.

ბირჟის მოთხოვნილება.

(4 ოქტ.)

რკინეულობა. აბრეშუმი დაურთავი. ტომრები. ელექტრონის ლამპიონები. შუშა. ჩაი. ნედლი ტყავეულობა. ქვამარილი ნახიჩევანის და ბახმუტის. მატყლი. სიმინდი და სიმინდის ფქვილი.

ოფიციალური გარიგებანი

(4 ოქტომბ.)

საქ. საპნის ტრესტის საპონი (ყოფ. ტოლე) 22 მან. ფუთი ფრანკო — ქარხანა. კაუსტიური სოდა 4 მან. 50 კ. (ჩერვ.) ფუთში. რუს. მანუფაქტურა პრეის-კურანტის ფასებით.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საერთო განწყობილება ბაზრის დღეს უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

3 ოქტომბერს დადებულია ბირჟის გარეშე 7 გარიგება — სულ 48035 (ჩერვ.) თანხისა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

სპარსეთიდან ევროპაში ტრანზიტის უფლების დაწესებისათვის.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ამიერკავკასიით სპარსეთიდან ევროპაში სპარსეთში წარმოებულ საქონლის უბაჟო ტრანზიტის უფლება ეძლევა მხოლოდ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს „ცენტროსოიუზ“-ს, რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და „არკოს“-ს, მაგრამ ამასთანავე, ყოველ ცალკე შემთხვევაში, ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვით. რაც შეეხება სპარსეთის სათევზო სამმართველოს მიერ სპარსეთში იჯარით აღებულ თევზის სარეწაოებიდან ხიზილალისა და თევზეულის ევროპაში სატრანზიტო გატანას, აღნიშნული საგნები ექვემდებარება გასატან ბაჟით დაბეგვრას.

საზღვარგარეთ თავისუფალ გატანის უფლების მქონე სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა სიის შეცვლისათვის.

ა. | წ. 27 თებერვლის დადგენილების შეცვლისათვის, საზღვარგარეთ ცალკე წარმომადგენელთა საშუალებით სავაჭრო ოპერაციის წარმოების უფლება ეძლევა მხოლოდ შემდეგ ორგანიზაციებს: ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, „ჩემო“-ს, ნედლი მასალის შემსყიდველ სამმართველოს, აზერბეიჯანის თევზეულის სარეწაოთა სამმართველოს და „ბიალი“-ს.

საზღვარგარეთელ სავაჭრო წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია.

თანახმად ს. ს. რ. კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბრძანებისა, საზღვარგარეთ დამოუკიდებელი სავაჭრო წარმომადგენლობები უქმდება. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობა ამიერიდან შევა ს. ს. რ. კ-ის სავაჭრო წარმომადგენლობაში. ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება მხოლოდ თავრიზის წარმომადგენლობაზე.

„დერუტრა“-ს საზოგადოების განყოფილება ტფილისში.

დამოწმებულია საზოგადოება „დერუტრა“-ს წარმომადგენლის შუამდგომლობა აღნიშნულ საზოგადოების განყოფილების გახსნაზე და სატრანსპორტო ოპერაციების დაწყებაზე ნებართვის მიცემის შესახებ.

სულით ავადმყოფთა მოვლა-ექიმობის საქმე საქართველოში და რესპუბლ. ცენტრალ. ფსიქიატრ. საავადმყოფოში

საქართველოში დაახლოვებით 6000 სულით ავადმყოფია*). ამათგან 200 კაცი აუცილებლათ საჭიროებს სპეციალურ საავადმყოფოში მოთავსებას, შესაფერ წამლობას და მეთვალყურეობას. სულით ავადმყოფთა ღვთის ანაბარა დატოვება საფრთხეს წარმოადგენს როგორც გარეშემომყოფთათვის, ისე მომავალ თაობისათვის, რადგანაც ზევრი მათგანი ქორწინდება და ავადმყოფ შთამომავლობას წარმოშობს. თუ გინდ მარტო ამ საფრთხის თავიდან აშორებისათვის საჭიროა მათი იზოლიაცია, საზოგადოებიდან გამოცალკევება. ბევრი სულით ავადმყოფი სავსებით განიკურნება, თუ შესაფერი წამლობა და მოვლა ექნება, რაც მოსახერხებელია მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ საავადმყოფოში. განათლებულ ქვეყნებში ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ და ზოგიერთ სახელმწიფოებში ჩინებულათაც აქვთ ეს საქმე მოგვარებული. ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივ ჯერ კიდევ ფრიად მძიმე პირობებში იმყოფება. მას საშუალება არა აქვს არა თუ 2000-სს, 200 ავადმყოფსაც კი გაუწიოს შესაფერი პატრონობა.

ამჟამად ჩვენ მოკლეთ შევეხებით რესპუბლიკის ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინეთ ყოფილ მიხეილის საავადმყოფოს განყოფილებას წარმოადგენდა და ფართო საზოგადოებაში „საგიჟეთად“ იყო ცნობილი. ამ რამდენიმე წლის წინეთ ეს საავადმყოფო სავსებით მოუწყობელი იყო. ავადმყოფები ციხის პირობებში ცხოვრობდენ, არ იყო შესაფერი მოვლა-პატრონობა და წესიერი მკურნალობა. ეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში მოეწყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიატრული კლინიკა, რომლის სათავეში დგას პრ. მ. მ. ასათიანი. იგივეა საავადმყოფოს მთავარი ექიმიც, და უნდა სიმართლე ითქვას, რომ მისი ინიციატივით ბევრი კარგი რამ კეთდება როგორც კლინიკისათვის, ისე მთლიანად საავადმყოფოსათვის.

ამ ჟამად საავათმყოფოში აღარ მიმართავენ სხვადასხვა შემავიწროებელ ზომებს; ციხის რეჟიმი სავსებით განდევნილია და ავადმყოფების მოვლა-პატრონობის და წამლობის საქმე თანდათან უმჯობესდება, ევროპიულ წესებზე ეწყობა, მეცნიერულ ნიადაგზე დგება. საავადმყოფოში გაცხოველებული მუშაობაა: სწარმოებს ერთი თავმინებებული შენობის სასწრაფო შეკეთება და საავადმყოფოს ეზოში, რომელიც უკვე დაყოფილია რამოდენიმე ნაწილად, ეწყობა სასეირნო ბაღი. როცა ეს მუშაობა დასრულდება, ავადმყოფები თითქმის მთელ დღეს გარეთ იქნებიან და გართობიან. შენობის შეკეთება საშუალებას იძლევა საავადმყოფო გაფართოვდეს და 60-დე ახალი საწოლი დაიდგას. ჯერ-ჯერობით საავადმყოფოში მხოლოდ 112 ადგილია, რაც ოდნავადაც კი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც ამ მხრივ არის საქართველოში. ზემო-აღნიშნულ შენობის ზემო სართულში განზრახულია გადაიტანონ ლაბორატორია, რომელიც ეხლა ერთ პატარა და ვიწრო ოთახშია მოთავსებული. იქვე უნდა მოეწყოს მუზეუმი, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კაბინეთი, აუდიტორია, სტუდენტების სამუშაო ოთახი და სხ. არის განზრახვა საავადმყოფოში დაარსებულ იქნას დეფექტიურ ბავშვთა განყოფილება. ამ მიზნისთვის ფიქრობენ გაანთავისუფლონ ერთი შენობა, რომელიც ამ ჟამად საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებს უჭირავთ და სახელოსნო მშვიდ ავადმყოფთათვის. დიდი გეგმაა დასახული და მისი განხორციელების იმედიც არის, რადგანაც ჯანმრთელობის კომ.-დან არის დაპირება, რომ ის საჭირო თანხას გაიღებს და უფულობით საქმეს არ შეაფერხებს, თუ ეს დაპირება გამართლდა (ნაწილობრივათ უკვე გამართლებულია) და ცოტაოდენი ხარჯი განათლების კომისარიატმაც გაიღო კლინიკის გაუმჯობესებისათვის, ახლო მომავალში გვექნება ჩინებულათ მოწყობილი დაწესებულება, სადაც ავადმყოფების რიგიანად მოვლა-პატრონობასთან და ექიმობასთან (საავადმყოფო) ერთად წმინდა მეცნიერული მუშაობაც იწარმოებს (კლინიკა). მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა და ამიტომ ოდნავაც ვერ ამსუბუქებს საავადმყოფოს და მის მუშა-მოსამსახურეთა ფრიად მძიმე აწმყო მდგომარეობას. არის ბევრი ნაკლი, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვს ყურადღების მიქცევას და გამოსწორებას. შენობები, რომლებშიაც მოთავსებულნი არიან მღელვარე ავადმყოფები, კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ. ისინი მეტისმეტად შელახულნი არიან, ალაგ ალაგ ძელები დამპალია, კარებისა და ფანჯრების ჩარჩოები მორყეული, კედლები ჩამონგრეული; ასე რომ აღგზნებულ ავადმყოფს ადვილათ შეუძლია ქვა, აგური, ძელის ნატეხი ან სხვა რამ მოიგდოს ხელში და მარცხი მოახდინოს. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ამ მხრივ ქალების განყოფილება აქ იატაკი მრავალ ადგილზე თუნუქის ნაჭრებით არის დაკერებული. ავადმყოფს ადვილათ შეუძლია თუნუქის ნაჭერის აგლეჯა და თავის ან სხვისი დაჭრა. ასეთ ცდას მრავალჯერ ჰქონია ადგილი, მაგრამ ადრევე შეუნიშნავთ და საქმე უბედურებამდე არ მისულა. მაგრამ ყოველთვის ხომ არ მოიტანს კოკა წყალს? ასეთი უბედურება მით უფროა მოსალოდნელი, რომ საავადმყოფოს განათების საქმე ძლიერ ცუდათ არის მოწყობილი. ელექტრონის სანათების უქონლობის გამო ბევრი ოთახი სავსებით გაუნათებელია. მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში არც იქ არის სინათლე, სადაც სანათი არის. ღამის ორ საათზე სინათლე ქრება და ამ დროიდან დილამდე მთელი საავადმყოფო სიბნელით არის მოცული ნუ თუ ასე ძნელია ისეთ სადგურთან შეერთება, რომელიც გათენებამდე არ შესწყვეტს ელექტრონის ნაკადს. საავადმყოფოს ადმინისტრაციის მხრივ ყოფილა ამ მხრივ ნაბიჯი გადადგმული, მაგრამ უშედეგოთ. აქვე უნდა აღინიშნოს მედიკამენტების ნაკლებობა. სხვადასხვა შემავიწროებელ ზომების უარყოფა თავისთავად გულისხმობს უფრო კულტურულ საშუალების ხმარებას. აღგზნებულ ავადმყოფების დასამშვიდებლათ საავადმყოფოს არ აქვს საკმაოთ მოწყობილი წყლით სარჩენი. წამლეულის მხრივ კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია. რამდენჯერმე აღუძრავთ შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, მაგრამ ტკბილი სიტყვის და დაპირების მეტი ჯერ არაფერი მიუღიათ. ყველა ამას ემატება დაბალ მოსამსახურეთა შტატების სიმცირე, რაც კიდევ უფრო მეტათ აფერხებს საქმეს. შტატის გადიდებაზედაც ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ ნაყოფი არც ამ მხრივ მიმართულ ცდას გამოუღია. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ აუტანელ ნივთიერ მდგომარეობას, რომელშიაც აღნიშნულ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი იმყოფებიან. უმაღლეს და საშუალო საექიმო პერსონალს და სამნეო ნაწილის თანამშრომლებს აქ არ შევეხებით. სახარბიელო არც მათი მდგომარეობაა, მაგრამ სანიტარების, მესასთუმლეების, მეკარეების და სამნეო ნაწილის დაბალ მოსამსახურეების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. აგვისტოში, მაგალითად, მათ მიიღეს 35,000,000. ასეთი სიძვირის დროს ასეთი მცირე ჯამაგირი დაცინვაა და მეტი არაფერი. მათ დიდი ჯამაგირი არც წინეთ ჰქონიათ, მაგრამ მაისამდე ულუფა ეძლეოდათ და ამით ახერხებდენ თავის გატანას. პირველ ივნისიდან ულუფა წაართვეს და ზოგიერთებს ჯამაგირიც მოუკლეს. ამ ჟამად, როგორც ავღნიშნეთ, დაბალ მოსამსახურეთა ჯამაგირი რამდენიმე ხუთეული მილიონით განისაზღვრება. ეს არის და ეს. ვის შეუძლია ამ თანხით ცხოვრება? სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ივლისში სიმშილის ნიადაგზე თავი მოიწამლა მოსამსახურე ქალმა — პშენიჩნაიასამ, ხოლო ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ამავე მიზეზით სისუსტე მოერია და ძილათ ჩავარდა წვრილი ცოლშვილის პატრონი დამაშევსკი (შიკრიკი): დაწესებულებათა და მუშა-მოსამსახურეთა მრავალ ხარისხებათ (ჯამაგირის საკითხში) დაყოფვის მომხრე არა ვართ, მაგრამ თუ ეს რაიმე მოსაზრებით გასამართლებელია, ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი რათ უნდა მოექცენ უკანასკნელ რიგში? იმიტომ ხომ არა, რომ ჯოჯოხეთურ მუშაობას ეწევიან და თითოეული მათგანის სიცოცხლე ყოველ წამს საფრთხეში იმყოფება? ჯანმრთელობის კომისარიატს მართებს ამ საქმეზე უფრო სერიოზულათ დაფიქრება. ჩვენის აზრით, ქალაქის სათანადო ორგანომაც უნდა მიიღოს ამ საქმეში მონაწილეობა, რადგანაც, როგორც საამისო საბუთებიდან სჩანს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებულ ავადმყოფთაგან 57 პროც. ქალაქ ტფილისზე მოდის. მიუხედავათ აუტანელი გაჭირვებისა, მოსამსახურე პერსონალი საკმაოთ სინდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას. ჯერ ვერ ვიტყვით, რომ ავადმყოფები მოუვლელნი იყვნენ. საავადმყოფოში საკმაო სისუფთავეა; მაგრამ საქმე ის არის, რომ საავადმყოფოს არ აქვს თეთრეულის საკმაო რაოდენობა და ამიტომ ძალიან ძნელია სისუფთავის დაცვა. ავადმყოფებს ამას გარდა ესაჭიროებათ საზამთრო საბნები და ფეხსაცმელები. ეხლა ბევრი მათგანი სავსებით ფეხშიშველია, მაგრამ ზამთრისათვის ხომ შეუძლებელია მათი ამ მდგომარეობაში დატოვება! საავადმყოფოს ადმინისტრაციას მიღებული აქვს საჭირო ზომები; ეხლა სიტყვა ჯანმრთელობის კომისარიატზეა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელიც არ დააყოვნებს ადმინისტრაციის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. სავარგისი ტანტების მხრივაც დიდ ნაკლებობას განიცდის საავადმყოფო. არა ნაკლებ საყურადღებოა ავადმყოფების კვების საკითხი. ამ რამოდენიმე თვის წინეთ მათ ძლიერ ცუდათ კვებავდენ. ეხლა შედარებით უკეთესი კვება აქვთ, მაგრამ საკმარისი მაინც არაა. 1 ნახევარი გირვანქა პური ვერ აკმაყოფილებს ფიზიკურათ საკმაოთ ჯანმრთელ ადამიანს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ავადმყოფები მუდამ სიმშილზე სჩივიან და ყველას, ვინც საავადმყოფოში გაივლის, პურს სთხოვენ. ორ გირვანქამდე მაინც უნდა გადიდდეს პურის ულუფა. კერძი ავადმყოფებს საკმაოთ ეძლევათ, ვახშამიც აქვთ და დილა-საღამოს ჩაი-შაქრით. ამ მხრივ შედარებით გვარიანი მდგომარეობაა. ასეთია მოკლეთ ფსიქიატრ. საავადმყოფოს ეხლანდელი მდგომარეობა. ბევრი ისეთი ნაკლი აქვს მას, რომ მისი გამოსწორება გადადებას არ ითმენს. ჯანმრთელობის კომისარიატმა მეტი ენერგია და ხელგაშლილობა უნდა გამოიჩინოს ამ საქმეში.

მუშკორი ჩხმელი.

---

*) ცნობა აღოლებულია პრ. ასათიანის მოხსენებიდან.

სრ. რუსეთის პროფსაბჭოს ა. კ. ბიუროში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მეორე კონფერენცია

ამხ. გინსბურგის მიერ მოსკოვიდან მოწოდებული ცნობით, ა. | კავკასიის პროფკავშირთა მეორე კონფერენცია შესდგება 25 ოქტომბერს. ა | კ. ბიუროს მიერ შემუშავებულია წარმომადგენლობის შემდეგი ნორმა: 1) კავშირები, რომელთაც ჰყავთ ცენტრში და რაიონებში 1,000-დან 2,500 წევრამდე, ჰგზავნიან ერთ დელეგატს, 2) კავშირები, რომელნიც 2500 მეტს წევრს აერთიანებენ, ყოველ 2,500 წევრზე ჰგზავნის თითო დელეგატს. 3) არჩევნები უნდა მოხდეს საქალაქო კონფერენციებზე ან რესპუბლიკის საკავშირო ყრილობაზე პროფკავშირთა საბჭოს ინსტრუქციების თანახმად. სამაზრო პროფბიუროები 2,500 ზე ნაკლები წევრით ერთდებიან და ყოველ 2,500 კაცზე გზავნიან თითო დელეგატს, რომელსაც სამაზრო კონფერენციებზე ირჩევენ,

ზემოხსენებულ დროისთვის (25 ოქტომბ.), არჩევნები დამთავრებულ უნდა იქნეს. 25 ოქტომბერზე არა უგვიანეს დელეგატები ტფილისში უნდა იყვნენ.

სამუშაო ხელფასის 10 პროცენტის ობლიგაციებით მიღება.

სრ. რუს. პ. კ. ც. კ. ა.-კ. ბიუროს თანამშრომელთა საერთო კრებამ, მოიწონა რა სრ. რუსეთის პ. კ. ც. კომიტეტის ცირკულიარი ხელფასის ათი პროცენტის მომგებიანი სესხის ობლიგაციებით მიღების შესახებ დაადგინა სამი თვის განმავლობაში მიიღონ ხელფასის 10 პროცენტი ობლიგაციებით, რაც უკვე შესრულებული იქნება ოქტომბრის პირველ ნახევრის ჯამაგირის აღების დროს.

სარევიზიო კომისიათა მუშაობის შესახებ.

მთელს რიგ საკავშირო ორგანიზაციებში სარევიზიო კომისიების უმოქმედობისა და ხშირად სრულიად არ ყოფნის გამო, სრ. რუსეთის პ. კ. ც. კ. ა.-კ. ბიურომ წინადადება მისცა ყველა პროფსაბჭოებს მოაწყონ სარევიზიო კომისიები და ზომები მიიღონ მათი მუშაობის გასაცხოველებლად პერიოდული რევიზიების დაწესებით არა ნაკლებ ერთისა ორ თვეში, რევიზიის შემდეგ კომისიის წევრებს ევალებათ გააშუქონ კავშირთა მდგომარეობა პრესაში, პლენუმის სხდომებზე ფართე კონფერენციებზე და საკავშირო ორგანოების სხდომებზე. სარევიზიო კომისიების მოწყობის დროს წინადადებით არჩეულ უნდა იქნენ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთა მიმართ, საქმისადმი გულგრილად მოპყრობის დროს, კავშირის მიერ შესაფერი ზომები იქნება მიღებული.

ტრანსპორტის განათლების მუშაკთა ხელფასის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ბიუროსთან 3 ოქტომბერს შემდგარმა თათბირმა ამხ. ხუბოვის მოხსენების გამო ტრანსპორტში განათლების მუშაკთა ხელფასის რაოდენობის შესახებ დაადგინა: ხელფასის გაცემა დატოვებულ იქნეს ძველ საფუძველზე 1 ოქტომბრამდე თანახმად გზათა სახალხო კომისარიატის მომქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებისა და ამასთანავე მოეთხოვოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს სექტემბრის ხელფასის დარიგებისათვის საჭირო თანხის დაუყოვნებლივი გაღება.

პროფკავშირებში

ს. პ. კ საბჭოს სამდივნოში

ს. ს. ს. რ. მაგარი შტატების დაწესებისათვის.

ს. პ. კ. ს. სამდივნომ აუცილებლად სცნო ს. ს. ს. რესპუბლიკის მაგარი შტატების დამწესებელ კომისიაში გაგზავნოს პროფსაბჭოს წარმომადგენელნი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

დამზღვევი კასის დავალიანება.

ს. პ. კ. ს. სამდივნომ მიიღო რა მხედველობაში ბათომის პროფსაბჭოს მძიმე ნივთიერი მდგომარეობა, შუამდგომლობა აღძრა დამზღვევი კასის წინაშე, გაანთავისუფლოს ბათომის კავშირები დასაზღვევი ფულის შეტანისაგან ამა წლის აგვისტომდე. შემდეგისათვის წინადადება ეძლევათ ყველა კავშირებს პირნათლად შეასრულონ თავის მოვალეობა დამზღვევი კასის წინაშე.

სხვადასხვა კავშირებში

ურთიერთი დახმარების კასები.

მუშათა ფართე მასების ურთიერთ დახმარების კასაში ჩასაბმელად, კომუნალურ მეურნეობის ადგილკომების საერთო საქალაქო კონფერენციამ დაადგინა, გაიხსნას ურთიერთ დახმარების ცალკე ცენტრალური კასა.

პირველ რიგში კასის განყოფილება გაიხსნება ტრამვაის პარკთან და ავჭალის წყალსადენთან. გადაწყვეტილია, მუშებისთვის სესხის მიცემა საქონლის მანეთით.

საბავშვო ბაღები.

მომავალ ზამთრისათვის პროფკავშირებს საბავშვო ბაღებში დაეთმოთ 50 ადგილი. ტფილისის სახ. განათლ. განყოფილებამ წინადადებით მიმართა კავშირებს საჩქაროთ გაგზავნონ საბავშვო ბაღებში შესაფერი ჰასაკის ბავშვები — კავშირის წევრთა-შვილები სათანადო მანდატებით.

პურის მიღება.

განათლების მუშაკთა კავშირის თაოსნობით სახ. განათ. კომ—ის მიერ სასურსათო კომისარიატს ეძლევა ავანსად თანხა კავშირის წევრთა — ტფილისის განათლების მუშაკთათვის გამომცხვარი პურის დასამზადებლად. სასურ. კომისარიატიდან მიღებული ფქვილიდან მზადდება ქალაქის საბაზოებში პური, რომელიც ურიგდებათ განათლების მუშაკთ სარაიონო ადგილკომის საშუალებით 100 ათას მანეთად შავი და 200 ათასად თეთრი პური, რაც ბაზრის ფასთან ძალიან იაფია.

ბინები მუშებისათვის.

საბჭოთა მოსამსახურეების კავშირს გადაეცა 5 სახლი. გარდა ამისა კავშირს თავის წევრებისათვის იჯარით აღებული აქვს კიდევ 10 სახლი. უკვე კავშირის მიერ მიღებულ 5 სახლში დადგენილია ბინების ასე განაწილება: პირველ რიგში ბინა მიეცემათ კავშირის წევრებს, რომელიც სარდაფებსა და კუთხეებში ცხოვრობენ, მეორე რიგში — დანგრეულ სახლებში მცხოვრებთ, სადაც მოსალოდნელია სახლის უფრო მეტად დანგრევა. ბინების განაწილების [illegible] სობა მიეცემათ კავშირის [illegible] ფიზიკური შრომის მუშაკებს.

მეტყავეთა კავშირში.

თელავისა და სიღნაღის სამაზრო განყოფილებათა დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ფაქტიურად სიღნაღის განყოფილება არ არსებულა, რის გამო მუშათა საერთო კრებაზე განყოფილება სამაზრო ადგილკომად გადაკეთდა. თელავის განყოფილებაში საქმე შედარებით, უკეთ უწარმოებიათ; ეს განყოფილებაც აგრეთვე სამაზრო ადგილკომად გადაკეთდა.

თანამედროვე სპარსეთი

საუბარი ს. ს. რ. კავშირის პოლიტიკურ წარმომადგენელთან სპარსეთში ამხ. შუმიაცკისთან.

ბაქო. 2 ოქტომბერს დილით ბაქოში ჩამოვიდა და საღამოსვე გაემგზავრა მოსკოვში ს. ს. რ. კავშირის პოლიტიკური წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. შუმიაცკი.

მეჯლისის არჩევნები.

მთელი სპარსეთის მთავარ ყურადღებას ამ ჟამათ, — სთქვა ამხ. შუმიაცკიმ, — მეჯლისის არჩევნები იპყრობს. არჩევნები, რომელსაც წინ უძღოდა მთავრობის გააფთრებული საარჩევნო კამპანია, თვე ნახევრის წინეთ დაიწყო.

ჯერ-ჯერობით 120 სადეპუტატო ადგილიდან შევსებულია მხოლოთ 38. ამ რიცხვში ნაციონალისტებმა (ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ „იშტიმაიუნ“) გაიყვანეს 6 თავისი კანდიდატი და 3 მათი მომხრე. მთელი ქვეყნის ყურადღება რასაკვირველია ექცევა არჩევნების საბოლოო შედეგს, რადგან პარლამენტი სპარსეთის ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი შემადგენლობა საინტერესოა, როგორც მებრძოლ ძალთა განწყობილება, რომელიც თუმცა ვერ პოულობს თავისუფალ გამოხატულებას, მაგრამ მაინც მიმდინარე მომენტის ძალთა აღრიცხვის საშუალებას იძლევა. მოსახლეობაზე ფეოდალურ რეაქციის მხრივ ძლიერი ზეგავლენა, რომელსაც ხელს უწყობენ უცხოეთის სახელმწიფოები და მათი ფული, რასაკვირველია არ მისცემს ნაციონალისტებს აბსოლიუტურ უმრავლესობის მიღების საშუალებას. მიუხედავათ ამისა მოსალოდნელია, რომ ისინი მოახერხებენ 15—20 ადგილის დაჭერას. მეჯლისის დარბეული ბლოკი ცოცხლდება და ეჭვს გარეშეა, რომ მინისტრთა მომავალ კაბინეტის შედგენის დროს მათ ანგარიში გაეწევა და რომ მათი მონაწილეობის გარეშე ვერ შეიკრიბება ვერც ერთი კაბინეტი.

ეკონომიური მდგომარეობა.

სპარსეთის შინაგანი ეკონომიური მდგომარეობა ხასიათდება ამჟამათ გაცხოველებულ საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლით, რომელმაც გაცვლა-გამოცვლის ისეთი დამხმარე ფაქტორები გამოიწვია, როგორიც არის საბჭოთა ბანკის გახსნა და მთელ რიგ შერეულ საბჭოთა-სპარსულ საზოგადოებათა აღმოცენება, ბაქოსა და ნიჟეგოროდის ბაზრობებმა წარუშლელი კვალი დასტოვეს ჩვენს სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაზე მიუხედავათ გააფთრებულ აგიტაციისა, რომელსაც ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ ჩრდილოეთ და დასავლეთ სპარსეთში ზოგიერთი ადგილობრივი ფირმები კოლონიალ საქონლის მონოპოლიურ გასაღების მიზნით, სპარსეთის ვაჭრებმა მაინც გაბედეს ჩვენთან სავაჭრო დამოკიდებულების დაჭერა და არც მოსტყუვდენ თავის ანგარიშში. ისინი სავსებით დაჯილდოებული არიან ჩვენს ბაზრობებზე მონაწილეობისათვის. ინგლისისა და საფრანგეთის გაზეთებმა განგაში ასტეხეს: ისინი არწმუნებდენ სპარსეთის საზოგადოებას, რომ რუსეთი ნაციონალიზაციას ან რეკვიზიციას უყოფს სპარსეთის საქონელს. მაგრამ უცხოეთის პრესის მორიგი ჭორი სრულიად გაბათილდა იმ მოგებით, რომელიც რეალურათ გამოიღეს ნიჟეგოროდში და ბაქოში მოვაჭრე სპარსელ ვაჭრებმა.

უცხოეთის კონკურენცია, როგორც ახალი ფაქტორი სპარსეთის ბაზარზე.

ამ კამპანიის უნაყოფობამ ორი ახალი ფაქტორი გამოიწვია უცხოელთა მუშაობაში: პირველი არის ვაჭრებთან უშუალოთ დაკავშირების ცდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც.

მეორე არის საბანკო კრედიტის ფორმის შეცვლა. გაჩნდა თუ არა სპარსეთში საბჭოთა ბანკის დაარსების პირველი ნიშნები, შახინშახის ბანკმა დაუყოვნებლივ გაუხსნა ვაჭრებს ჰიპოტეკურ კრედიტის გარდა, რომელიც აქამდე არსებობდა, სავაჭრო-კომერციული კრედიტიც და ამასთანავე სავაჭრო ანგარიშის წარმოება 6 თვის და, ხანდისხან, 9 თვის ვადითაც დაიწყო. კონკურენციის მიზნით „სამხრეთის ნავთის კომპანიამ“ (ინგლის-სპარსეთის კომპანია) ამ დღეებში გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ ის ყიდის სპარსულ კეროსინს „გაცილებით უკეთესი ხარისხისას“ (მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული კეროსინი ზედმეტ გოგირდს შეიცავს), ვიდრე უცხოეთის, (იგულისხმე: ვიდრე ბაქოს), გაცილებით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე უცხოეთის (იგულისხმე, — ბაქოს ნავთის ფასი) მარტოოდენ ამ რეკლამის გამოცხადება წარმოადგენს მთელს რევოლიუციას სპარსეთში უცხოეთის ვაჭრობის ძველ მეთოდების მიმართ. 1907 წელს მეფურ რუსეთსა და ინგლისის გავლენის სფეროებით სპარსეთის დაყოფის შემდეგ, ორივე ქვეყანა ვალდებული იყო არ შეეტანა თავისი საქონელი მეორე სახელმწიფოს გავლენის სფეროში. ამით აცილებული იყო ყოველგვარი მტრობა ამ ორ მმართველ სახელმწიფოს შორის და დაცული იყო ვაჭრობის სრული მონოპოლია თავ-თავის გავლენის სფეროში. ეხლა კი საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გამართულ ეკონომიურ თანამშრომლობის საპასუხოთ ინგლისელი ფირმა უცხადებს გენერალურ ომს ბაქოს ნავთს თავისუფალ სავაჭრო კონკურენციის სახით. რასაკვირველია აზნავთი არ გაქცევა ინგლისელ კონკურენტს და არც შეარცხვენს საბჭოთა ნავთის მარკის სახელს, რადგან აზნავთი არა მარტო რეკლამაში, არამედ სინამდვილეშიაც უკეთესია უცხოეთის ნავთზე.

მეორე მაგალითი უცხოეთის კონკურენციისა: ინგლისის მანუფაქტურა მრავლად იყო დაგროვილი სპარსეთის საწყობებში, მაგრამ მისი გასაღება ქვეყნის შიგნეულში ამ ჟამათ შეფერხდა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ სპარსეთის მომხმარებელი კარგათ იცნობდა ეგრედ წოდებულ „კოლონიალურ საქონლის“ ღირსებას, მისი გასაღება მაინც ადვილი იყო ჩრდილოეთ სპარსეთშიც კი მათი იაფობისა და მტარვალობითი პოლიტიკის გამო. ამჩნევენ რა სპარსეთის ბაზრის მიდრეკილებას რუსეთის მანუფაქტურისაკენ, უცხოეთის კონკურენტები სიყალბესაც სჩადიან და თავის საქონელს ყოფილ მოროზოვისა და პროხოროვის ფირმის მარკას, სორტიმენტსა და სხვა ნიშნებს ბაძავენ.

ჩვენმა საბჭოთა საფეიქრო ორგანიზაციებმა რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყონ ვაჭრობა სპარსეთთან, რადგან სპარსეთის მყიდველი მოუთმენლად მოელის რუსეთის მანუფაქტურას, რომლის ღირსებას იგი კარგათ იცნობს, და რომელიც გაცილებით უფრო მაღლა დგას უცხოეთის კოლონიალურ მანუფაქტურასთან შედარებით.

ამხ. ევსიხი ყაჭეიშვილის ხსოვნას

ა. წ. 11 ოქტომბერს, დაუნდობელმა სიკვდილმა სრულიად მოულოდნელად ქართულ ჯარის რიგებს და საქართველოს კომპარტიას ხელიდან გამოჰგლიჯა კომპარტიის წევრი და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა ამხ. ევსიხი თომას ძე ყაჭეიშვილი.

ამხ. ევსიხი კიდევ არალეგალურ პირობებში ეწეოდა მძიმე პარტიულ მუშაობას გურიაში, რისთვისაც მას მენშევიკური მთავრობა გაუმასპინძლდა მეტეხის ციხით, ხოლო მენშევიკური ხელისუფლების უკანასკნელ დღეებში ის სხვა ამხანაგებთან ერთად, გადაგზავნილ იქნა ქუთაისის და შემდეგ ბათომის ციხეში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამხ. ევსიხი ინიშნება გურიის მაზრის ერთ ერთ რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო ცენტრალურ პარტსკოლის გახსნისთანავე ამხ. ევსიხი მიეშურება სასწავლებელში სწავლის გასაღრმავებლად და ჩინებულად ამთავრებს პარტიულ სკოლას, რის შემდეგ ამხ. ევსიხი ს. კ. პ. ცკას განკარგულებით იგზავნება საქართველოს წითელ ჯარების პოლიტ-სამმართველოს განკარგულებაში, 1922 წლ. მაისში და აქ ღებულობს დანიშნულებას, ქართულ შეერთებულ ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის პირველი ბატარეის პოლიტიკური ხელმძღვანელის თანამდებობას.

ამხ. ევსიხი ამ თანამდებობაზე იჩენს დიდ ინიციატივას პოლიტიკურ კულტურულ მუშაობაში და სულ ჩქარა იხვეჭავს დიდ ყურადღებას და სიყვარულს, როგორც წითელ-არმიელებში, აგრეთვე უფროსთა და პოლიტიკურ შემადგენლობის შორის.

ამხ. ევსიხი ჩაბმული იყო არა მარტო წითელ ჯარის შიგნით პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში, არამედ ის აქტიურად მონაწილეობას იღებდა სოფლად (გარე კახეთში) მშრომელ გლეხების პოლიტიკურ და კულტურულ გათვითცნობიერებაში და აქაც მან მშრომელ გლეხებში მოიპოვა სიყვარული და ავტორიტეტი. სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული ნიჭი ამხ. ევსიხის აგიტატორულ დარგშიც, ის საუკეთესო აგიტატორი იყო მთელ საარტილერიო ნაწილებში და მომზადებაც ხელს უწყობდა მას.

შემდეგ ის ინიშნება პირველ ბატარეის სამხედრო კომისრად.

ამხ. ევსიხი საუცხოვოთ ასრულებდა თავის ახალ თანამდებობას და აქაც დიდ მუშაობას ეწეოდა, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოჰგლიჯა ქართულ წითელ ჯარის რიგებს საუცხოვო ძვირფასი ამხანაგი ენერგიით აღსავსე და საუკეთესო პოლიტ-მუშაკი ამხ. ევსიხი.

ამხ. ევსიხის უდროვოდ დაკარგვა დიდი დანაკლისია, როგორც ქართულ წითელ ჯარისათვის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიისათვის.

ტ. ბჭელია.

ეკონომიური ცნობანი

ვალიუტის კურსი ტფილისში

(5 ოქტომბერი)

ჩერვონცები — — —	55,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	48,800
ჩეკები —	46,000
დოლარები ეფექტ. —	11,200
„ ჩეკები	10,400
ოსმ. ქაღ. ლირა	6.500
იტალიური ლირა	335
ფრანგული ფრანკი	495
საბჭ. ფულის ნიშნები	13

ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველოში

ღვინის დამზადება.

სავ. სამმართველომ დადგინა ჯერ-ჯერობით ღვინის დამზადება არ აწარმოოს.

ბამბის დამზადება.

სავაჭრო სამმართველომ საჭიროდ სცნო 500 ფუთის ბამბის ძაფის შეძენა, რისთვისაც საჭიროებისდაგვარად მოიხმაროს რეალიზაციის ის თანხები, რომლებიც კანტორის განკარგულებაში მოიპოვება.

ბეწვეულის დამზადება.

ამა წლის განმავლობაში განზრახულია დამზადება საზღვარ გარეთ გასატანად 3000 ცალი მელას ბეწვის ქურქის (ტყავის და 500 ცალი კვერნა უმაღლეს ხარისხისა.

მატყლის დამზადება.

სპარსეთში (მაქუ) და ყარსის რაიონში დამზადებული იქნება მატყლი.

მეცნიერება და ტეხნიკა

რამდენ ენერგიას ხარჯავს შრომის დროს სხვადასხვა პროფესიის ხალხი.

ყველამ იცის, რომ ადამიანი შრომის პროცესში ჰკარგავს ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც მან უნდა შეავსოს საჭმელის მიღებით რამდენათაც მძიმეა ადამიანის მუშაობა, მით უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს ის. ენერგიას მეცნიერები ზომავენ კალორიებით.

ქვემოთ-მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს თუ რამდენ ენერგიას ხარჯავს სხვადასხვა პროფესიის ხალხი.

1. ჯანსაღი, ფიზიკურად ცოტა მომუშავე ადამიანი — —	2.400 კალ.
2. კანტორაში მომუშავენი —	2.500 „
3. მკერავი, მხოლოდ ნემსით მომუშავე — — — —	2.700 „
4. მკერავი, საკერავ მანქანაზე მომუშავე — — — —	3.300 „
5. მუშა, მექანიკურ ქარხანაში	3.300 „
6. სოფლის მუშა, მაგ. პურის აღების დროს — — —	4.000 „
7. მჭედელი — — — —	4.100 „
8. სოფლის მუშა, ხვნის დროს	5.000 „
9. შეშის მჭრელი — — —	6.000 „

ზოგიერთმა მეცნიერებმა, მაგალითად ფინეთის მეცნიერმა ტიგერშტედტმა, აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი მძიმე სამუშაოს. შესრულების დროს ენერგიის დახარჯვა 8.000 კალორიამდი აღწევს, რაც თავისთავად ცხადია დაკარგული ენერგიის ასანაზღაურებლად ულუფის გადიდებას მოითხოვს.

საკვების სარგებლობის ზომა.

დახარჯული ენერგიის ასანაზღაურებლად ადამიანმა უნდა მიიღოს იმდენი საჭმელი, რომ ორგანიზმში შევიდეს 80-დან 118 გრამამდი (გირვანქა 400 გრამს შეიცავს) ცილოვანი ნივთიერება და 2400 კალორი *) სითბო.

ქვემოთ მოყვანილია (პროფ. ბ. ი. სლოვცოვის მიერ შედგენილი) ცხრილი იმ საკვების, რომლებიც ცალკე შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ცილოვან ნივთიერების და სითბოს კალორიების რაოდენობას.

	100 გრ. ცილოვან ნივთიერებას შეიცავს	2400 კალორი სითბოს შეიცავს.
ხიზილალა	3/4 გ = 300 გრ.	2 ნახ. გირ. = 1000 გრ.
მუხუდო	1 „ = 400 „	2 და ერთი მერვ. „ = 850 „
ყველი	1 „ = 400 „	1 ნახევარი „ = 600 „
ხორცი	1 1/2 „ = 600 „	4 ნახევარი „ = 1800 „
შავი პური	3 „ = 1200 „	2 ნახევარი „ = 1000 „
თეთრი „	3 1/2 „ = 1400 „	2 ნახევარი „ = 1000 „
ბრინჯი	3 1/2 „ = 1400 „	1 ნახევარი „ = 600 „
კარტოფილი	12 „ = 4800 „	6 „ = 2400 „
კომბოსტო	14 „ = 5600 „	16 „ = 9600 „
ვაშლი	60 „ = 24000 „	10 „ = 4000 „
რძე	4 ბოთლი	5 ბოთლი
კვერცხი	13 ცალი	32 ცალი

ამ ცხრილიდან შემდეგი სჩანს:—რომ ადამიანმა განიზრახოს საჭირო ცილოვანი ნივთიერების და სითბოს კალორიების ერთი რომელიმე საკვებით შევსება, ამისთვის ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელია მხოლოდ პური, მუხუდო, ყველი და ხიზილალა, რომლებიც შედარებით მცირე რაოდენობით (პური მაგალითად სამნახევარი გირვანქა) შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ცილოვან ნივთიერებას და სითბოს კალორიების რაოდენობას.

---

*) კალორი, სითბოს ერთეული, რომელიც საჭიროა 1 კილოგრამი წყალის გასათბობათ ცელსის 1 გრადუსამდი.

ქრონიკა

— **ახალი მიწისძვრა.** საქ. ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა 4 ოქტ. 17 საათზე და 3 წუთზე აღნიშნეს ადგილობრივი მიწის სუსტი ძვრა, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. კერა მდებარეობს 50 კილომეტრის მანძილზე (ბორჩალოს მაზრის რაიონი).

— **მისალმება.** საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტმა მიიღო შემდეგი მისალმება: „ჩვენ, ასურეთ-ალბულაღის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენციის დელეგატები, გიძღვნით სალამს, ჩვენს საიქადულო მეთაურთ. დღეს, როდესაც მსოფლიოს რევოლიუციის ალი ბოედო და ჩვენი ხელისუფლება ხელახლად სდგება ახალ-ახალ მძიმე საკითხების წინ, ჩვენ ამოგიდგებით გვერდში და თქვენთან ერთად გავამაგრებთ იმ ფრონტს, რომელიც მიიყვევს იმპერიალიზმის შესამუსრათ და გვექნათ კომუნისტურ წესწყობილების დასამყარებლათ. ქალაქის და სოფლის მუშათა კავშირი და თქვენი ხელმძღვანელობა თავდებია ახალ-ახალ გამარჯვებისა. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს მე რევოლიუციის ხელმძღვანელს—მესამე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომუნიზმს. **კონფერენციის პრეზიდიუმი**“.

— **გამოცდები საქ. სამხატვრო აკადემიაში.** 29 სექტემბერს დასრულდა სამხატვრო აკადემიაში მიღების გამოცდები, 60 მთხოვნელისაგან მიღებულ იქნა კონკურსით მხოლოდ 17 კაცი.

— **ახალი პროფესორი.** სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ფაკულტეტზე 1 ოქტომბრიდან მოწვეულია ინჟინერ-ხუროთმოძღვარი პროფესორი მაჭავარიანი.

— **სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის ქონების გადაცემა სოც. უზრუნველყოფის კომისარიატზე.** მთავრობის დადგენილებით, საქ. შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მთელი ქონება და საშუალებები გადაეცა სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს. კომისარიატმა თავის რწმუნებულებს ოფიციალურად მიაწერა დამშეულთა კომიტეტების მთელი ქონება და საშუალებები საჩქაროთ ჩაიბარონ.

— **გლეხთა ურთიერთშორის დამხმარე კომიტეტები.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თაოსნობით სიღნაღის მაზრაში მოეწყო სულ 49 გლეხთა ურთიერთობის დამხმარე კომიტეტები. 15 ოქტომბერს დანიშნულია აღნიშნულ კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს სოც. უზრ. კომიტეტის წარმომადგენელი.

— **სამხ. აკადემიის სტუდენტთა ექსკურსია მცხეთაში.** სამხ. აკადემიის სტუდენტთა ექსკურსია მცხეთაში, რომელიც ორ თვეს გაგრძელდა, ძლიერად ნაყოფიერად დასრულდა: ექსკურსიამ გადმოიღო ადგილობრივ ისტორიულ ნაშთთა გეგმები და სურათები.

— **საეკლესიო განძეულობის შენახვა.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა გაუქმებულ ეკლესიების განძეულობა და ქონება გადაეცეს სოც. უზრ. კომისარიატს გლეხთა ურთიერთშორის დამხმარე კომიტეტების მომწყობ და საპენსიო დახმარების ფონდების გასაძლიერებლათ.

— **შრომის სასამართლოს საქმეები.** შრომის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობით მიმართა იუსტიციის სახ. კომისარიატს, რომ მან დაიჩქაროს შრომის სასამართლოს მეორე კამერის გასარჩევი საქმეები.

— **შემფასებელ-განმანაწილებელი კომისიები.** შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა სატარიფო ეკონომიურ განყოფილებას საჩქაროთ დაარსოს შემფასებელ-განმანაწილებელი კომისიები-ერთეულებისთვის ისეთ კავშირებში, სადაც ასეთები ჯერ კიდევ არ არსებობენ.

— **უმუშევრების გამოცხადება.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, არა დაზღვეული უმუშევრები და ის უმუშევრები, რომელნიც პროფკავშირის წევრად არ ირიცხებიან, შრომის ბირჟაზე უნდა გამოცხადდენ არა უგვიანეს ორი თვისა.

— **ფეიქართა არტელი.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატთან არსებულ შინა-მრეწველობის განყოფილებასთან არსდება უმუშევარ ფეიქართა არტელი.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.** ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს შესდგა საბიბლიოთეკო სექციის კრება, სადაც წაკითხულ იქნა სექციის მომავალი მუშაობის შესახებ. საღამოს კი ხსენებულ სახლში გაიხსნა სამაგალითო სკოლა; დაესწრნენ მრავალი მასწავლებელი და გარეშე პირნი. შაბათს, 6 ოქტომბერს, დილის 11 საათზე იმავე სახლში დანიშნულია საკლუბო სექციის სხდომა, რომელზედაც კლუბის მუშაკთა დასწრება აუცილებელია.

— **შრომის ბირჟა.** 4 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—496. ახლად ჩაეწერა—133. სამუშაოზე გაიგზავნა 133.

— **ქალაქის ლომბარდის გახსნა.** აღმასკომმა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ქალაქის ლომბარდის გახსნა. ამ საკითხის ყოველმხრივ დამუშავება დაევალა ამხ. ბასილიას.

— **კომუნალურ ბანკის დაარსება.** აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომისია ამხ. ამხ. გეგეჭკორის, სუხიშვილის, მესხის, ელენტის, ღლონტის და სხ. რომელსაც დაევალა ზომების მიღება 1 ნოემბრიდან კომუნალურ ბანკის მუშაობის დასაწყებათ.

— **დაწესებულებათა ბინების შემჭიდროება.** დაწესებულებათა ბინების შემჭიდროებელ კომისიაში აღმასკომის წარმომადგენლებათ დაინიშნენ: ამხ. სუხიშვილი და ამხ. ელენტი.

— **ტფილის ქალ. საბჭოს სახლის გახსნა.** აღმასკომმა დაადგინა გახსნას ტფ. ქალ. საბჭოს სახლი და დაავალა კომ. მეურნეობის განყოფილებას შეიმუშაოს აღნიშნულ სახლის გახსნის პროექტი და გამონახოს ბინა.

— **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნომერში, „მასწავლებელთა საზაფხულო გადასამზადებელ კურსების“ შესახებ დაბეჭდილ ცნობაში შეცდომით დაბეჭდილია: „მასწავლებელთა საზაფხულო გადასამზადებელი კურსები დაამთავრა 200 მასწავლებელმა“, უნდა იყოს: 2,000 მეტმა მასწავლებელმა.

შემთხვევები.

— **ქურდის შეპყრობა.** 1-ლ სამილიციო უბანში მელიქსკის ქუჩაზე ღამით შეიპყრეს ქურდი გალაქტიონ გამცემლიძე (მცხოვრები ავლაბრის ქუჩაზე), რომელსაც აღმოაჩნდა ნაპარავი ნივთები ორი მილიარდის.

— 2 ოქტომ. გაქურდეს (სოლომონოვის ქუჩაზე № 3) მოქ. ჩუბჩიევის ბინა. ეჭვით დააპატიმრეს სათენიკა სარუხანოვა.

ხელოვნება

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** ორშაბათს, 8 ოქტომბერს ხელოვნების სასახლეში, პროლეტარულ მწერალთა კავშირის მიერ გაიმართება სალიტერატურო ორშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. დუმბაძე ტროცკის უკანასკნელი წიგნების შესახებ პროლეტარულ კულტურაზე.

— **ოპერის სეზონის გახსნა.** დღეს, 6 ოქტომბერს გაიხსნება მუშათა წარმოდგენით სახელმწიფო ოპერის სეზონი. წარმოდგენილი იქნება დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

— **ახალი მწერლობის ლიტერატურული კვირეები.** ახალი მწერლობის კავშირის ლიტერატურული კვირეების სეზონი გაიხსნება 14 ოქტომბერს.

— **წიგნების გამოფენა.** ახლო მომავალში ტფილისში განზრახულია მოეწყოს ამიერკავკ. რესპუბლიკებში გამოცემულ წიგნების გამოფენა.

— **ახალი ოპერები** დაიწყო მომზადება მიმდინარე სეზონში დაიდგმება მელიტონ ბალანჩივაძის და ზაქარია ფალიაშვილის ახალი ოპერები: „თამარ ცბიერი“ და „დაისი“.

— **სახალხო სახლის სეზონი.** სახალხო სახლის შეკეთება უკვე დასრულდა და ოქტომბრის დამლევში გაიხსნება სეზონი. რეპერტუარი უმთავრესად შედგენილია ახალი პიესებიდან, სეზონის განმავლობაში ზოგიერთ პიესებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნებიან მსახიობები რუსთაველის თეატრიდან.

— **ქართული დრამატიული სტუდია.** აკ. ფაღავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიაში მეცადინეობა დაიწყო 1 ოქტომბრიდან. სტუდიაში წელს მიღებულ იქნა სათანადო გამოცდების შემდეგ 18 მოწაფე, მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით.

— **სტალინის სახელობის კლუბი.** ამხ. სტალინის სახელობის კლუბში დღეს გაიმართება მუშათა წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“.

პროვინციაში

ზემო-ქართლის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები ბორჯომში

5 სექტემბერს დასრულდა გორის და ბორჯომის მაზრების მასწავლებელთა გადასამზადებელი ორთვიანი კურსები, რომელიც იყო გახსნილი კურორტ ბორჯომში.

ამ კურსებზე იღებდენ მონაწილეობას ზემო ქართლის—მესხეთ-ჯავახეთის ქართველი მასწავლებელნიც, რომელნიც შეცდომით ქ. ახალქალაქის რუსულ კურსებზე იყვენ მიწვეულნი ლექციების მოსასმენად, მაგრამ როგორც ქართული სკოლების მასწავლებლებმა უარი განაცხადეს ამათ ახალქალაქში წასვლაზედ და ითხოვეს ბორჯომის ქართული ლექციების მოსმენა, და მთავრობამაც გააგზავნა ისინი ბორჯომის კურსებზე.

ბორჯომის კურსებზე 114 მასწავლებელი ისმენდა. კურსების საქმე კარგად იყო მოწყობილი ამხ. თამარა ჯავახიშვილის გამგეობით. კურსები დაიწყო 15 ივლისს და დამთავრდა 5 სექტემბერს.

ლექტორ-ხელმძღვანელნი კარგი გამოცდილ-მომზადებული აღმოჩნდენ. იმათი ცოცხალი სიტყვიერებით გადმოცემას დიდი გავლენა ჰქონდა მსმენელ მასწავლებლებზე ზედმიწევნით გაეცნოთ ახალი სკოლა, შეეთვისებიათ ახალი პრინციპები, დაეგმოთ და ღრმათ დაემარხათ ძველი უვარგისი სკოლა.

ცოცხალ ლექციებთან ერთად პარალელურათ მიმდინარეობდა ხელგარჯილობა-ძერწვა, ხატვა-ხაზვა, საყმაწვილო და ხალხური სიმღერა-გალობა მუსიკით და ტანვარჯიშით.

გამუდმებული და ხშირი შხაპუნა წვიმები თუმცა ხელს უცარავდენ ექსკურსიებს, მარა 5—6 ჯერ მაინც მოეწყო ექსკურსიების საქმეც 3—4 ვერსის სიშორეზე, გააცვნეს ექსკურსანტები ადგილობრივ მიდამოს.

კურსანტებმა დაათვალიერეს აგრეთვე ადგილობრივი შუშის და სახერხი ქარხნები და მჟავე წყლები.

კურსების მიწურულში, რამოდენიმე სანიმუშო გაკვეთილებიც მისცეს ხელმძღვანელ ლექტორებმა და მსმენელ მასწავლებლებმა, რომლის გარჩევაში კურსების მთელი შემადგენლობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

კურსების პროგრამმა სავსებით იყო გავლილი, მხოლოდ ერთ-ერთ ლექტორის ავადმყოფობის გამო კონსტიტუციის შესახებ ვერ იქნა წაკითხული ლექციები.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ მთელი კურსების განმავლობაში, სარეფერატო კომისიის ხელმძღვანელობით რაოდენიმე რეფერატი იყო წაკითხული მხატვრობაზე და სხვა თემებზე.

ყოველ დღიური მეცადინეობა კურსანტებისა 7—8 საათს გრძელდებოდა, გარდა თავიანთი კერძოდ მუშაობისა ახალი სკოლის მეთოდების შესახებ სჯა-ბაასისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისა.

კურსების დახურვის წინ ღამით გაიმართა აუდიტორიაში გამოსათხოვი საღამო, სადაც წაკითხულ იყო ლექსები და სცენები, და გალობდა კურსანტებისავე გუნდი, უკრავდა საზანდარი და იყო საუცხოვო მომხიბლავი ცეკვა. ითამაშეს გუნიას 1 მოქ. კომედია „უბედური დღე“. გაიმართა აგრეთვე ვახშამი. მეორე დღეს კი ლექციების შემდეგ გაიმართა საზეიმო სადილი და ნასადილევს დაიხურა კურსები საღამოს 5 საათზე.

მესხი კ. გვარამაძე.

წყნეთის თემი (თბილისის მაზრა)

არა მგონია ტფილისის მაზრაში იყოს ისეთი ყოვლისმხრივ ჩამორჩენილი თემი, როგორიც წყნეთის, რაც არაერთხელ აღნიშნულა გაზეთების ფურცლებზე. ხალხი საერთოდ პატიოსანი და შრომის მოყვარეა; ნიადაგი ძალიან მწირია; საკმარისი რაოდენობა სახნავ-სათიბ მიწისა არ არის თემში. და მცხოვრებთა შრომის მოყვარეობით უნდა აიხსნას, რომ სიმშილით არ იხოცებიან. მოსავალი საშუალოდ სამი თვის საზრდო არ მოდის. აქ გავრცელებულია მასიური ლოთობა, რასაც ძალიან ცუდი შედეგები მოსდევს. ეტყობა აღმასკომის უმოქმედობა წარსულში. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამხ. ოგანეზოვის და ხუციშვილის ხელი დაეტყო აღმასკომის მუშაობას. ამხ. ხუციშვილის წინადადებით, ადგილობრივმა საბჭომ ერთ ერთ თავის სხდომაზე დაადგინა: აიძულოს მშრომელები—მიმდინარე სამოსწავლო წელს შეიყვანონ სკოლაში თავიანთი შვილები 7 დან 14-წლამდე. აღწერა უკვე მოხდა ასეთების და თუ მუშაობამ ამ დარგში იწარმოვა დაწყებული ტემპით,—მოსალოდნელია სასურველი შედეგები მომავალში. განზრახულია ენერგიული ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. განზრახულია აგრეთვე ყოველ კვირაობით უფასო წარმოდგენების მართვა მშრომელი გლეხებისათვის. ლოთობის საწინააღმდეგო მოხსენებების დართვით. ა. წ. 30 სექტემბერს უკვე მოეწყო პირველი წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, ვინაიდან წინდაწინ იყო გაწეული აგიტაცია: რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია—ეს ქალების დასწრებაა, რომელთაც სხვანაირი წარმოდგენა აქვთ თეატრზე, და რომლებიც ქუჩაშიაც იშვიათად გამოდიან სასეირნოთ. მცხოვრებნი თითქმის 99 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია. ამ დარგშიაც სწარმოებს მუშაობა: განზრახულია ასეთების ლიკვიდაცია; ეწყობა ვიწრო მასშტაბით საღამოს კურსები. უკვე ჩაეწერა რამოდენიმე.

თემში ერთი სკოლაა. თეატრი არ არის, სკოლა შეუფერებელ შენობაში იყო. მოძებნილია სათანადო სახლი სკოლისათვის, ხოლო მისი ეხლანდელი შენობა განზრახულია თეატრათ იქნას გადაკეთებული.

ა. შანელი.

ეწერის თემი (ქუთაისის მაზრა)

რევოლიუციის პირველ ხანებიდან დაიწყო თემების დაყოფა-გადაჯგუფების ხანგრძლივი პროცესი: ზოგი თემი ორად გაიყო, ზოგს სოფლები ჩამოშორდა და სხვა თემებს მიეწერა. იყო მაგალითიც: სამი სხვა და სხვა მაზრებიდან სოფლების ჩამოშორებით ცალკე თემიც გამოიჭრა და სხვა.

ჩვენის დაკვირვებით ასეთ გადაჯგუფების პროცესში, ხელოვნურათ შექმნილ და კუთხურ ინტერესებიდან გამომდინარე ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ეწერის თემს ჩამოშორდა კარგა მოზრდილი სოფელი იანეთი და ცალკე თემი დაარსა, რომლის ცალკე გასვლა არავითარ ბუნებრივ ნიადაგზე არ იყო დაყრდნობილი. იანეთი შეიცავს 360 კომლს და ეწერი 500 არ აღემატება, ამასთან ორთავე თემების ერთად აღებული გეოგრაფიული საზღვრების სიგრძე-სიგანე 5 კვადრატ ვერსზე მეტი არ იქნება.

აი, სწორედ აქ იყო კუთხური ინტერესები ჩაქსოვილი, რომელმაც დააქუცმაცა თემები და სახელმწიფოს აღმშენებლობით საქმეებში უნარი დაუკარგა. ამიტომაც, მთავრობის ახალ განკარგულების თანახმად, გაყოფილ თემებ შორის კვლავ დადგა შეერთების საკითხი. ამ ნიადაგზე ახლო წარსულში მოხდა ეწერ-იანეთის შეერთებული ყრილობა, რომელსაც დაესწრო სამაზრო აღმასკომის რწმუნებული ამ. ი. ვაშაყმაძე და სამტრედიის პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ი. სტურუა. საკითხი ეხებოდა ეწერ-იანეთის შეერთებას. მოხსენებებიც გაკეთდა. ბევრი შემათანხმებელი სიტყვებიც ითქვა. მაგრამ იანეთის მხრივ ყველა მოლაპარაკე ხაზგასმით ასახელებდა სამმართველოსათვის შემათანხმებელ პუნქტათ თავიანთ ისტორიულ „ბაქანს“, რომელიც არამც თუ ეწრისათვის, თვით იანეთისათვისაც განაპირა ადგილია. ეწერმა კი პრინციპიალურ შეთანხმების შემდეგ, რომელიც ერთხმად იყო მიღებული, შეიტანა წინადადება; ორივე თემს აერჩია კომისია, რომელსაც დაესწრებოდა სამაზრო აღმასკომის რწმუნებული და მათ მიერ გამორჩეული ცენტრი იქნებოდა სავალდებულო. ეს სამართლიანი წინადადება იანეთმა უარყო. ხმის უმრავლესობით საკითხს გადაჭრა თავმჯდომარემ არ ინება; კრება უშედეგოთ დარჩა.

ყველა ამის შემდეგ ეწერის თემის სახელით შეტანილ იქნა განცხადება შემდეგი შინაარსის: ვინაიდან ეწერ-იანეთის შეერთებულ ყრილობაზე ვერ გამოინახა სამმართველოსათვის საშუალო ადგილი, რაშიაც ეწრის თემს ბრალი არ უძევს, ამისათვის შუამდგომლობას აღძრავს სამაზრო აღმასკომის წინაშე გამოუძებნოს გაყოფილ თემებს ცენტრი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეწერის თემი დატოვოს ცალკე თემად. ამ შუამდგომლობის შემდეგ სამაზრო აღმასკომმა ამ საკითხის ხელახლად მოგვარება მიანდო ამხ. პლატონ ქუთათელაძეს და იმავე მაზრის ინსტრუქტორს ი. ვაშაყმაძეს, რომლებმაც მოახდინეს შეკითხვა როგორც ეწერზე, აგრეთვე იანეთზედაც: ეწრის თემიდან მათ მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი, იანეთის პასუხს ჩვენ არ ვეხებით, მხოლოთ მოველით სამაზრო აღმასკომის სამართლიან სიტყვას, სიტყვას რომელსაც ექნება საბოლოო ან გადამჭრელი მნიშვნელობა.

მეთვალყურე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10-ს თარიღითა და 7 ნომრით გამოცემული დადგენილების 31 მუხლისა და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების I განყოფილების 10 მუხლის შესაცვლელად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნაცვლად საწყობიდან ფაბრიკაში გადასამუშავებლად გადასული ყვითელი (არა წეკო) ფოთოლი თამბაქოს აქციზით დაბეგვრისა, დაწესდეს დაბეგვრა მზა ნაკეთობისა (მოსაწევი თამბაქო, პაპიროსი) ამ უკანასკნელის თვითეული სახის განაწილებით სამ ხარისხად: უმაღლესი, პირველი და მეორე.

2. შემოღებულ იქნეს შემდეგი მტკიცე განაკვეთი მოსაწევი თამბაქოს და პაპიროსის აქციზისა ჩერვონეცის ანგარიშით და აქციზი გადახდევინებულ იქნეს ჩერვონეცით ან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით გადახდის დღის კურსისამებრ.

ა. ადგილობრივი წარმოებისა.

მოსაწევი თამბაქო (არა წეკო):

ა) უმაღლესი ხარისხი—2 მანეთი და ოცდახუთი კაპეიკი გირვანქაზე, ან ხუთი მან. და ორმოცდაათი კაპ. კილოგრამზე; ბ) პირველი ხარისხი—ერთი მანეთი და 5 კაპ. გირვანქაზე, ან ორი მანეთი და ორმოცდა თექვსმეტი კაპ. კილოგრამზე; გ) მეორე ხარისხი—ორმოცდახუთი კაპეიკი გირვანქაზე, ან ერთი მან. და ათი კაპეიკი კილოგრამზე:

პაპიროსი ათას ცალზე:

დ) უმაღლესი ხარისხი—სამი მან. და ოცდახუთი კაპეიკი; ე) პირველი ხარისხი—ორი მან. და ოცდახუთი კაპეიკი; ვ) მეორე ხარისხი—ერთი მან. და ოცდახუთი კაპეიკი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აქციზის გადახდის დროს „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტში აღნიშნული რაოდენობით,—გადახდილი აქციზი საშუალოდ უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი მანეთისა გირვანქაზე, ან ორი მანეთისა და ორმოცდაოთხი კაპეიკისა კილოგრამზე—მოსაწევი თამბაქოსათვის და არა ნაკლებ ერთი მანეთისა და ორმოცდაათი კაპეიკისა—ათასი ცალი პაპიროსისათვის.

ზ) დამატებითი აქციზი საპაპიროსო სახელოსნოში დამზადებული პაპიროსისათვის არის—ოცდაექვსი კაპეიკი; თ) წეკო—ცამეტი კაპეიკი გირვანქაზე, ან ოცდათორმეტი კაპეიკი კილოგრამზე; ი) სიგარა—თექვსმეტი მანეთი ათას ცალზე; კ) სიგარეტი—ექვსი მანეთი ათას ცალზე; ლ) წეკოს პაპიროსი—ოთხმოცი კაპეიკი ათას ცალზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა.

ა) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი ყველა ხარისხისა—ოთხი მანეთი გირვანქაზე, ან ცხრა მანეთი და სამოცდათხუთმეტი კაპ. კილოგრამზე; ბ) პაპიროსი ყველა ხარისხისა—რვა მანეთი ათას ცალზე; გ) სიგარა—ორმოცდათხუთმეტი მან: ათას ცალზე; დ) სიგარეტი—ოცი მან. ათას ცალზე.

3. პაპიროსის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს დადგენილი ორდინარული რაოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თამბაქოს წონა ათას ცალ პაპიროსში არ აღემატება შემდეგ ფარგლებს: უმაღლესი ხარისხის პაპიროსისათვის—1 და სამი მეოთხედ გირვანქას, პირველი ხარისხის პაპიროსისათვის—1 ნახ. გირვანქას და მეორე ხარისხის პაპიროსისათვის—1 და ერთიმეოთხედ გირვანქას. უმაღლეს ხარისხის პაპიროსს წონით 1 და სამ მეოთხედ გირვანქიდან 3 ნახევარ გირვანქამდე, პირველი ხარისხისას წონით 1 ნახ. გირვანქიდან 3 გირვანქამდე და მეორე ხარისხისას წონით 1 და ერთი მეოთხედ გირვანქიდან 2 ნახ. გირვანქამდე—აქციზი დაედება სათანადო განაკვეთის ორკეცი რაოდენობით. გაკეთება ისეთი პაპიროსისა, რომელიც წონით აღემატება სათანადო ხარისხისათვის ზემოაღნიშნულ ფარგლებს—3 ნახ. და 2 ნახ. გირ.—აკრძალულია.

4. ხელახლად აღნუსხვის დროს თამბაქოს ნაკეთობისა,—რაც ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების დროისათვის აღმოჩნდება საფაბრიკო მაღაზიებში, სავაჭრო საწყობებსა და საწარმოში,—მის დასაბეგრად აქციზის ახლად დაწესებულ განაკვეთსა და წინანდელი განაკვეთის შორის არსებული განსხვავების რაოდენობით,—მოსაწევი თამბაქო (არა წეკო) და პაპიროსი, გამოშვებული ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე სავაჭროში დაწესებული სხვადასხვა ხარისხის სახელწოდებით—მიეკუთვნება ახლად დაწესებულ უმაღლეს, პირველ და მეორე ხარისხებს იმ საფუძველზე, რასაც შეიმუშავებს ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

5. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

6. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების ვადას დააწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ს ტ უ რ უ ა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თ ა ლ ი ბ ლ ი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

შაბათს, 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე
საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება თათბირი
ოქტომბრის რევოლიუციის მე-6 წლის თავის ზატარების შესახებ.

მოწვეული არიან: საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილებიდან—ამხ. რუხაძე, ტფილისის აღმასკომიდან—ამხ. მესხი, განათლების სახალხო კომისარიატიდან—ამხ. სოკოლოვსკი, სახალხო განათლების და პოლიტიკური განათლების განყოფილებებიდან—ამხ. გურგენიძე, პროლეტკულტიდან—იგნატიევი, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებიდან—ამხ. დალნაია, საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტიდან—ამხ. აგამალიანი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების პოლიტიკური სეკრეტარიატიდან, ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილებიდან—ელენტი, ტფილისის გარნიზონის ჯარების პოლიტიკური სეკრეტარიატიდან—ამხ. დვორიანოვი და რაიონულ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები.

საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესხენი.

ამხანაგების მობილიზაცია.

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი მობილიზაციით იწვევს

გერმანიის მდგომარეობის

კამპანიის ჩასატარებლად ქვემოდასახელებულ ამხანაგებს:
ცხაკაია მ., მახარაძე ფ., ორჯონიკიძე ს., ორახელაშვილი მ., ეგოროვი, მიასნიკოვი, ელიავა, ოკუჯავა მ., ლომინაძე, კახიანი, რუბენი, ივანოვ-კავკასკი, ვირაპი, გუსეინოვი, ტაკოევი, ოკუჯავა ნ., პოლისი, ხანოიანი, ვრაჩოვი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

—2-ე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშკოპის კლუბში (კირკის ქ. № 7) შესდგება 2-ე რაიონის გაფართოვებული პლენუმი მდივნებთან, ბიუროს წევრებთან, დელეგატებთან და უჯრედებზე მიმაგრებულებთან ერთად.

ყველა ზემოაღნიშნული ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ—ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

— ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგშია მიმდინარე საკითხები.

სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე მ. ე ს ხ ე ნ ი.

— ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი იტყობინება, რომ კვირას, 7 ოქტომბერს დილის ათ საათზე, ქართული მუშფაკის შენობაში შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშფაკის სხდომა. სავალდებულოა კანდიდატების და წევრების და აგრეთვე (სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშფაკის) კომუნისტ სტუდენტების გამოცხადება.

ი ა ჩ ე ი კ ი ს ბ ი უ რ ო.

— მეორე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს ა. წ. 6 ოქტომბერს ერთიან მუშათა კოოპერატივის კლუბში (კირკის ქუჩა № 7) შესდგება მეორე რაიონის გაფართოებული პლენუმი, მდივნების, ბიუროს წევრების, დელეგატების, უჯრედებზე მიმაგრებულების და ახალგაზრდობის კომკავშირების ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომის წევრთა თანადასწრებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ: ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული არჩილ სოფრომის ძე იაშვილი ძმისწულებით: გალაქტიონ, გიორგი და ვალენტინათი, ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა. წ. აგვისტოს 28-ს სოფ. ლომიწოში (რაჭა) უეცრად გარდაცვლილ ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველის მეუღლის, ხოლო დანარჩენთა ბიცოლას

ფეოდოსია დავითის ასულ იაშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გად ხდილ იქნება კვირას, ოქტომბრის 7-ს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათზე.

1253—2—2

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინო და მამა ტერენტი, ძმები სერგო და საული ჰიჭინაძეები, ანნა და დავით ნიჟარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მარიამ ტერენტის ასული ჰიჭინაძე-რცხილაძისა

პანაშვიდები ყოველდღე სღამოს 7 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული ხვალ.

16 1—1

სახელმწიფო ოპერის თეატრი
შაბათს, 6 ოქტომბერს
სეზონის გახსნა
პროფკავშირთა წევრთათვის
პირველად სრულიად ახალი დადგმა ზ. მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა
თქმულება შოთა რუსთაველზე

კვირას, 7 ოქტ. მე-2-რეჯერ თ ქ მ უ ლ ე ბ ა შოთა რუსთაველზე
სამშაბათს, 9 ოქტ. პირველი გამოსვლა ადარებონესი ბ ა რ მ ე ნ
ოთხშაბათს, 10 ოქტ. პირველი გამოსვლა მარკოვისა, დეველეთ და ზავალოვისა ე ვ გ ე ნ ი ო ნ ე გ ი ნ ი
ხუთშაბათს, 11 ოქტ. „უ რ ი ი ს ქ ა ლ ი“
პარასკევს, 12 ოქტ. „პ ი კ ი ს ქ ა ლ ი“
დაწყება 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

636—1—1

ყველა ხელის მომწერთ
ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია
სთხოვს გაზ.: „კომუნისტის“, „მუშის“, „მიწის მუშის“, „რაბოჩაია პრავდა“-ს და მოსკოვის ყველა ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გაზეთს [illegible] დღეს ვერ მიიღებს სულ, ან თავის დროზე ვერ მიიღებს,
იმავე დღეს გვაცნობოს
ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციაში, რუსთაველის ქუჩა, № 26
ტელეფონი № 5–48.
ექსპედიციის გამგე ჩეჩელაშვილი.
654—3—1

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ

კვირას, 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, პირველ სასურსათო საწყობის შენობაში (ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქ., № 18) დანიშნულია

ზეპირი ვაჭრობა

სხვადასხვა კრუპისა და პურეულობის გასაყიდათ, როგორც, მაგალითად: მუხუდოს, ფეტვის, ნაკმაზის და სხვა.

ასეთივე ვაჭრობა დანიშნულია სამშაბათს, 9 ოქტომბერს. დილის 10 საათზე, სარემონტო სახელოსნოების ეზოში (ელისაბ. ქ. № 179). სხვადასხვა ნატეხებისა და უვარგის სატრანსპორტო და სხვა საქონლის გასასყიდათ, როგორც, მაგალითად: რკინისა და თუჯის ნატეხების, სალუმელო აგურებისა, ძველ ბორბლების და სხვა.

ვაჭრობაზე გასასყიდ საგნების დათვალიერება შეიძლება ყოველდღე მეცადინეობის საათებში ზემონაჩვენებ მისამართებით. 2—1.

ტფილისის საქონლის და საფონდო ბირჟა

ამით აუწყებს თვის წევრებს, რომ კვირას, ოქტომბრის 7-ს, დილის 11 საათზე ბირჟის შენობაში (სოლოლაკის ქ. № 7) დანიშნულია

ბირჟის წევრთა საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ბირჟის მოქმედების შესახებ, 2) მოხსენება საქონლის-საფონდო ბირჟათა ამიერკავკასიის პირველ კონფერენციის შესახებ, 3) არჩევნები სარევიზიო კომისიის, 4) დამატებითი არჩევნები საბირჟო კომიტეტის ერთი წევრისა—კერძო ვაჭართაგან.

1—1 (კრ № 655) ბირჟის კომიტეტის პრეზიდიუმი

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია
ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ გრძელდება
მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე
ხელის მოწერა ოქტომბრის თვის განმავლობაში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე ექსპედიციის კანტორაში, რუსთაველის პროსპექტი № 26 დილის 9 საათიდან დღის პირველ საათამდის.
ექსპ. გამგე ჩეჩელაშვილი.

14 ოქტომბერს გამოვა პროლეტარულ მწერალთა-კავშირის ორგანო
კვირეული
სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი
ო რ ი ო ნ ი
თანამშრომლებათ მოწვეული არიან ადგილობრივი ამხანაგები და მოსკოვის სამხატვრო ძალები.
მასალები დროებით მიიღება ამხ. ვაკელთან „მუშის“ რედაქციაში.

ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს დღით 12 საათზე კომუნალური მეურნეობის შენობაში დანიშნულია წერილობითი

საჯარო შეჯიბრება

იჯარით გაცემისა 7 წლის ვადით კომუნალურ მეურნეობის კუთვნილ სახლის (**ყოფილი სასტუმრო ფრანცია ტროცკის ქუჩა**), რომელიც შესდგება სარესტორანო შენობიდან მოწყობილობით და 28 საცხოვრებელ ოთახებიდან ავეჯეულობით.

მსურველებმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 12 საათისა დღით 15 ოქტომბერს ამა მიმდინარე წლის წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში კომუნალური მეურნეობის სახელზე წარწერით „სასტუმრო ფრანციას“ იჯარით გამცემ კომისიას.

განცხადებასთან უნდა იყოს შემდეგი დანართები:

1) ბარათი სახელმწიფო ბანკის კომუნალური მეურნეობის მიმდინარე ანგარიშზე 30 ჩერვონცის შეტანისა.

2) ხელწერილი მაზედ, რომ თუ წარმოდგენილი პირობები იქნება მიღებული და კონტრ აგენტი უარს განაცხადებს ხელის მოწერას ხელშეკრულებაზე ერთი კვირის ვადაში დღიდან მისი დამტკიცებისა, შემოტანილი საწინდარი რჩება კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ და პირობა ჩაითვლება გაუქმებულად.

3) საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ პირადობას და რწმუნება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთა პირების, შემოტანილი საწინდარი იმ პირის, რომლის წინადადება იქნება მიღებული, დარჩება როგორც ასეთი და ამას გარდა პირობის შეკვრის დროს აღნიშნული საწინდარი უნდა იქნას შევსებული 10 პროცენტამდე ხელშეკრულების სრული თანხიდან.

ფასები უნდა იქნას განცხადებული ჩერვონცებით. განცხადებები უნდა იქნას გადახდილი სალერბო გადასახადით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე კომუნალურ მამულების ქვე-განყოფილებაში.

კომუნალურ მეურნეობის გამგე ვ. ჩაჩბა.

კომუნალურ მამულების განყოფილების გამგე კანდელაკი.

საქმეთა მმართველი ბელქანია.

კრ. 649 7—4.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დიათერმიით
მიხეილ გედევანიშვილის ხაზჯელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20. (1252—25—8)

დაიკარგა პასპორტი და მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე კოკოლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
15—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 244 ანთიმო ჰელიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
12—1—1

დაიკარგა მახარჯერიის მილიციის მიერ რ. ს. ფ. ს. რ. ცხოვრების უფლებისათვის მოცემული პასპორტი № 2375 ზინაიდა ნიკიტას ასულ პატეტიევას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.